პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მზრუნველთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП Грузии и Советов депутатов трудящихся Грузинской ССР

გამოდის 1956-ე წელი | № 23 (10417) | პარასკევი, 27 იანვარი, 1956 წ. | ფასი 20 კაპ.

შექმნილ ხუთწლედი იქნება სახალხო მეურნეობის ყველა დარგში ახალი ტექნიკის ფართო დანერგვის ხუთწლედი. ამიტომ ყრილობა ყველა პარტიულ და სამეურნეო ორგანიზაციას ავალებს გადაჭრით გაუმჯობესონ მუშაობა ტექნიკური პროგრესის, სამამულო და საზღვარგარეთის მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების, საუკეთესო საწარმოთა და კოლმეურნეობათა, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანთა გამოცდილების წარმოებაში უსწრაფესად დანერგვის უზრუნველსაყოფად.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივების პროექტიდან სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956-1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

საანგარიშო და საანგარიშო-საარჩევნო კრებები კოლმეურნეობებში

ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებში ამჟამად მიმდინარეობს საანგარიშო და საანგარიშო-საარჩევნო კრებები. საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები აჯამებენ სოციალისტური სოფლის მეურნეობის დარგში პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლის ერთი წლის შედეგებს.

ეს მოვლენა კოლმეურნეთა ცხოვრებაში მნიშვნელოვანია იმითაც, რომ კოლმეურნე გლეხობამ 1955 სამეურნეო წელს პირველი სერიოზული წარმატებანი მოიპოვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელების გზაზე. საანგარიშო-საარჩევნო კრებები კოლმეურნეობებში მიმდინარეობს უდიდესი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში, როცა კოლმეურნეობები რაზმავენ მთელ ძალებს, ავლინებენ რეზერვებს, რათა სასახელოდ შეასრულონ ის ამოცანები, რომლებიც დასახულია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956-1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ პარტიის XX ყრილობის დირექტივების პროექტით.

გასულ სამეურნეო წელს რესპუბლიკის კოლმეურნეობები ახლებურად მუშაობდნენ პერსპექტიული გეგმების საფუძველზე. ამან საშუალება მისცა მათ აემოქმედებინათ არსებული დიდი რეზერვები მარცვლეულის წარმოების გაზრდისა და საზოგადოებრივი მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდისათვის ბრძოლაში. საკოლმეურნეო სოფლის მშრომელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ შარშან სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების გეგმა შესრულებულია 121,3 პროცენტით, ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადებისა — 106,8 პროცენტით. 1954 წელთან შედარებით 1955 წელს სახელმწიფოს ჩაბარდა ყურძენი 2.600 ტონით, ხორცი — 4.860 ტონით, რძე — 24.400 ტონით, კვერცხი — 14 მილიონამდე ცალით, მატყლი — 8.117 ცენტნერით მეტი. გადაჭარბებით შესრულდა წველადობის და მთელი რიგი სხვა დავალებანი.

აჯამებს რა გასულ წელს გაწეული შემოქმედებითი შრომის შედეგებს, რესპუბლიკის კოლმეურნეობათა დიდი უმრავლესობა თვალსაჩინო წარმატებებით ეგებება საანგარიშო და საანგარიშო-საარჩევნო კრებას. სასახარულო და საამაყოა, რომ ბათუმის რაიონის კოლმეურნეობებმა ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე პერსპექტიული გეგმით 1960 წლისათვის გათვალისწინებულ მაჩვენებლებს ხორცის წარმოების დარგში უკვე 1955 წელს გადააჭარბეს, ხოლო 1957 წლისათვის დაგეგმილი წველადობის დავალება გასულ წელს გაანაღდეს.

გასულ სამეურნეო წელს საგრძნობლად გაიზარდა კოლმეურნეობათა ეკონომიკა. ახლა რესპუბლიკაში ასობით მილიონერი კოლმეურნეობა და ათობით მილიონერი ბრიგადა არის. მახარაძის რაიონის ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში, რომლის თავმჯდომარეა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გ. წითლიძე, ჩაის მოსავლიანობამ საშუალოდ ჰექტარზე 5.000 კილოგრამს მიაღწია. ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ორგზის სოციალისტური შრომის გმირი ა. როგავა) შარშან 270 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღო 23,8 ცენტნერი სიმინდი მარცვლად, ხოლო ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე — 105 ცენტნერი რძე. თვითეულ შრომადღეზე აქ 35 მანეთს ანაწილებენ.

კოლმეურნეობათა შემდგომ ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებაში, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გადიდებაში, კოლმეურნეთა მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის გაუმჯობესებაში დიდი როლი უნდა შეასრულონ საანგარიშო და საანგარიშო-საარჩევნო კრებებმა მანქანა-ტრაქტორთა სადგურების აქტიური მოსაწილეობით. ამ კრებებზე გულდასმით განხილულ უნდა იქნას და დამტკიცდეს კოლმეურნეობათა წლიური ანგარიშები, ამასთან მტს-ებსა და კოლმეურნეობებს შორის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულების შედეგებიც. ამ კრებებზე უნდა დაისახოს საკოლმეურნეო წარმოების მექანიზაციის, კოლმეურნეობათა აგროზოოტექნიკური მომსახურების შემდგომი გაუმჯობესებისა და მოწინავე გამოცდილების ფართოდ დანერგვის გზები.

უნდა გავითვალისწინოთ, რომ იმ კოლმეურნეობებში, სადაც არჩევითს ორგანოებს რწმუნების ვადა გაუვიდათ ან სადაც საერთო კრება ამას საჭიროდ მიიჩნევს, მოხდება გამგეობის, თავმჯდომარისა და სარევიზიო კომისიის არჩევნები. ამოცანა ის არის, რომ ყოველ კოლმეურნეობაში კრებამ ჩაიაროს ორგანიზებულად, არტელის წევრთა სრული და აქტიური მონაწილეობით. ეს კრებები უნდა მიმდინარეობდეს ნაკლოვანებათა კრიტიკის ფართოდ გაჩაღების ნიშნით. კრებებზე აუცილებელია შემუშავდეს მეექვსე ხუთწლედის პირველ წელს კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომი განმტკიცებისა და ზრდის, სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების განუხრელად დაცვის პრაქტიკული ღონისძიებანი.

მახარაძის, დუშეთის, თეთრი წყაროს და სხვა რაიონების მთელ რიგ კოლმეურნეობებში საანგარიშო-საარჩევნო კრებები მომზადებულად ტარდება. ამ კრებებზე ამხილებენ ნაკლოვანებებს და სახავენ საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომი აღმავლობის ღონისძიებებს. მაგალითად, გასულ სამეურნეო წელს ერთგვარი წარმატებები მოიპოვა დუშეთის რაიონის სოფელ ტონჩის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობამ. მაგრამ მოწინავეთა რიგებში მაინც ვერ ჩადგა. ნაკლოვანებანი დღესაც გრძელდება. მოუვლელია შემოდგომის ნათესები, ზოგან ნაკვეთში პირუტყვი დადის და ჯეჯილს აფუჭებს. პირუტყვს ცუდად კვებავენ, სადგომებში ფახჯრები ფიცრებით არის ამოჭედილი და სიბნელეა, შრომა მოუწესრიგებელია. ეს ნაკლოვანებანი მკაცრად იყო გაკრიტიკებული კოლმეურნეობის საანგარიშო კრებაზე, რომელიც 19 იანვარს გაიმართა.

საანგარიშო და საანგარიშო-საარჩევნო კრებების მომზადებისა და ჩატარების დროს საჭიროა კოლმეურნეთა ყურადღება გავამახვილოთ საზოგადოებრივი პირუტყვის გამოზამთრების მიმდინარეობასა და ნაკლოვანებათა აღმოფხვრაზე, საგაზაფხულო თესვისათვის მზადებასა და სხვა საგაზაფხულო სამუშაოების აგროტექნიკურ ვადებში შესრულებაზე, კოლმეურნეთა აგროზოოტექნიკურ სწავლებაზე და სხვა იმ საკითხებზე, რომელთა სწორად გადაწყვეტით 1956 წელს მიღწეულ უნდა იქნას მარცვლეულის წარმოების გადიდებისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდის გეგმების ვადამდე შესრულება, საქართველოს კომპარტიის XVII ყრილობის მიერ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის წინაშე დასახული ამოცანების ყოველი ღონისძიებით განხორციელება.

სსრ კავშირის წარმომადგენლები გაემგზავრნენ პრაღაში პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის სხდომაზე

იმ პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის სხდომაზე, რომელიც დაარსებულია მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ვარშავის ხელშეკრულების შესაბამისად, 25 იანვარს მოსკოვიდან პრაღაში გაემგზავრნენ საბჭოთა კავშირის წარმომადგენლები: სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ვ. მ. მოლოტოვი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი გ. კ. ჟუკოვი, აგრეთვე მათი თანმხლები პირები.

შინეთში გაემგზავრა საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაცია

ფინეთისათვის პორკალა-უდის ტერიტორიის გადასაცემად და ამ გადაცემის შესახებ დასკვნითი ოქმის ხელმოსაწერად 25 იანვარს მოსკოვიდან ჰელსინკში გაემგზავრა საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაცია, რომელშიც შედიან: სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე მ. გ. პერვუხინი (დელეგაციის მეთაური), სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე ა. პ. ვოლკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ა. ა. გრომიკო, საბჭოთა კავშირის მარშალი ა. მ. ვასილევსკი. (საკდესი).

საქართველოს სსრ მეოთხე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის გახსნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესია გაიხსნება დღეს, 27 იანვარს, დილის 11 საათზე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად

★

რუსთავის მეტალურგთა ვალდებულებები

რუსთავი. (საკ. კორ.). მეტალურგთა კულტურის სასახლის დიდ დარბაზში გაიმართა სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება, რომელმაც მოისმინა ქარხნის დირექტორის ამხ. ნ. გომელაურის მოხსენება ქარხნის კოლექტივის მიერ გასული წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შედეგებისა და 1956 წლის ამოცანების შესახებ. მომხსენებელმა ამასთან განმარტა, რომ მოსკოვის მოწინავე საწარმოთა და მაგნიტოგორსკელ მეტალურგთა ინიციატივით სოციალისტური მრეწველობის საწარმოთა კოლექტივები ებმებიან სოციალისტურ შეჯიბრებაში 1956 წლის საწარმოო დავალებათა ვადამდე შესრულების უზრუნველსაყოფად.

მოსკოველთა და მაგნიტოგორსკელთა მაგალითისამებრ 1956 წლის საწარმოო დავალების ვადამდე გასანაღდებლად რუსთავის მეტალურგების სახელით პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებამ მიიღო შემდეგი ვალდებულებანი:

წელს გეგმის გადამეტებით გამოუშვან რამდენიმე ათასი ტონა კოქსი, თუჯი, ფოლადი, მილები და გამოიმუშაონ რამდენიმე მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია.

გარდა ამისა, მეტალურგებმა იკისრეს შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმა შეასრულონ 1 პროცენტის გადამეტებით, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების შედეგად გასწიონ 5,5 მილიონი მანეთისა და რაციონალიზატორული წინადადებათა დანერგვით 3,5 მილიონი მანეთის ეკონომია. კადრების კვალიფიკაციის ასამაღლებლად მოწინავე გამოცდილების სკოლებში მოამზადონ 500 კაცი, ხოლო კვალიფიკაციის ამაღლების ქსელში — 2.500 კაცი.



პარტიის XX ყრილობისათვის გაცხოველებული მზადების დღეებში თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში მიმდინარეობს კვების მრეწველობის ახალი მანქანების ათვისება. ქარხნის საამქროებში წარმოებს სატირაჟო და სარეზერვუარო შამპანურის ჩამომსხმელი და ჩამომსხმელ-თავსაცობი ავტომატების აწყობა. უახლესი კონსტრუქციის ამ ორივე მანქანის სერიულად გამოშვება წელს დაიწყება. სურათებზე: მარცხნივ — ამწყობი ბრიგადირი შ. ომანიძე არეგულირებს სატირაჟო შამპანურის ჩამომსხმელ ავტომატს. მარჯვნივ — ბრიგადირი მ. ბაღდასაროვი (ზევით) და ინჟინერი ვ. უზუნოვი მუშაობენ ჩამომსხმელ-თავსაცობი ავტომატის აწყობაზე.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ახალი ჯიპის ლითონდასამუშავებელი ჩარხები

კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის კოლექტივი გამოეხმაურა მოსკოვის მოწინავე საწარმოთა ინიციატივას მიმდინარე სამეურნეო წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ და გადაწყვიტა კიდევ უფრო ფართოდ გააჩაღოს პარტიის XX ყრილობისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრება და აიღო შემდეგი ვალდებულებანი:

21 დეკემბრისათვის გაანაღდოს მიმდინარე წლის საწარმოო დავალება ყველა მაჩვენებლის მიხედვით, აითვისოს და 1 მაისისათვის გამოუშვას ახალი სახარატო-ხრახნსაჭრელი ჩარხების საცდელი პარტია და ამასთან მოამზადოს პირობები ამ ჩარხების სერიული გამოშვებისათვის 1957 წლიდან, აითვისოს და გამოუშვას 10 ახალი ტიპის მაღალი წარმადობის ჩარხები, გეგმასთან შედარებით 2 პროცენტით გაზარდოს შრომის ნაყოფიერება, 5 პროცენტით შეამციროს პროდუქციის თვითღირებულება, დაზოგოს 250 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია და 150 ტონა პირობითი საწვავი, რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვის ბაზაზე გასწიოს 500 ათასი მანეთის ეკონომია, დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა მექანიზაციისათვის მესამე კვარტალის ბოლომდე საექსპლოატაციოდ გადასცეს ესტაკადა და სხვ.

გაზრდილი საწარმოო ვალდებულებები აიღეს ცალკეულმა მუშებმა, ბრიგადებმა და საამქროებმა.

ქარხნის კოლექტივმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია რიაზანის მძიმე ჩარხების ქარხნის, ერევნის ძერჟინსკის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნისა და თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის კოლექტივები.

რიგმული მუშაობის გზით

ავჭალის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის კოლექტივმა, განიხილა რა საკითხი მოსკოვის მოწინავე საწარმოთა მაგალითისამებრ 1956 წლის გეგმების ვადამდე შესრულებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმის შესახებ, ერთსულოვნად გადაწყვიტა წლის ბოლომდე უზრუნველყოს შემდეგი მაჩვენებლების მოპოვება:

საერთო და სასაქონლო პროდუქციის გამოშვების 1956 წლის გეგმა შეასრულოს 21 დეკემბრისათვის და გეგმის გადამეტებით გამოუშვას რამდენიმე ასეული ტონა თუჯისა და ფოლადის სხმული, აითვისოს ახალი ტიპის სახარატო-ხრახნსაჭრელი ჩარხისათვის ლითონსხმულის გამოშვება, უზრუნველყოს თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის შეუფერხებელი მომარაგება ახალი საჩარხე სხმულით.

კოლექტივმა აგრეთვე იკისრა 1 აპრილისათვის უზრუნველყოს საშუალო და წვრილი ლითონსხმულის საკონვეიერე განყოფილების ამუშავება და ახალი ტიპის საჩარხე სხმულის კოკილური დამზადება. შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმა შეასრულოს 102,6 პროცენტით, ხოლო პროდუქციის თვითღირებულების შემცირების შედეგად სახელმწიფოსათვის ზეგეგმითი მოგების თანხა გაადიდოს 600.000 მანეთამდე.

პასუხსაგები ვალდებულებებია მიღებული პროდუქციის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად. წუნით გამოწვეული დანაკარგები წელს 1955 წელთან შედარებით უნდა შეამცირონ თუჯის სხმულზე 20 პროცენტით, ფოლადის სხმულზე — 25 პროცენტით, პროდუქციის გამოშვება საწარმოო ფართობის ყოველ კვადრატულ მეტრზე გაადიდონ 13,5 პროცენტით. ამასთან გეგმის გადამეტებით მოამზადონ 30 ახლადმიღებული ლითონმსხმელი, ხოლო კვალიფიკაცია აუმაღლონ 40 ლითონმსხმელს.

დაიხურა რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს მეორე სესია

24 იანვრის სესიის საღამოს სხდომაზე რუსეთის სფსრ სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ მოხსენების გამო კამათში გამოვიდნენ დეპუტატები **ნ. დ. ვაბნინი** (ომის ასსრ), **ი. ვ. ტრეტიაკოვი** (სარატოვის ოლქი) და რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე დეპუტატი **ა. მ. საფრონოვი.**

საბოლოო სიტყვა წარმოთქვა რუსეთის სფსრ ფინანსთა მინისტრმა დეპუტატმა **ი. ი. ფადეევმა.** იგი ამბობს, რომ რუსეთის ფედერაციის 1956 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და 1954 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში ყოველმხრივ განიხილა რუსეთის სფსრ უმაღლესმა საბჭომ. კამათში გამოსულმა დეპუტატებმა ერთსულოვნად მოიწონეს ახალი ბიუჯეტი, რომელიც მთლიანად შეესაბამება რუსეთის ფედერაციის ყველა ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს და საჭირო სახსრებით უზრუნველყოფს რესპუბლიკის მეურნეობისა და კულტურის შემდგომ განვითარებას მეექვსე ხუთწლედის პირველ წელიწადში.

უმაღლესი საბჭო ერთხმად ამტკიცებს ბიუჯეტს შემდეგი ოდენობით: შემოსავალი — 74.267.131 ათასი მანეთი და გასავალი 74.179.199 ათასი მანეთი. გასავალზე შემოსავლის გადამეტება შეადგენს 87.932 ათას მანეთს.

სესია ერთხმად ამტკიცებს რუსეთის სფსრ 1954 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს და იღებს კანონს რუსეთის სფსრ 1956 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.

შემდეგ თავმჯდომარე დეპუტატი **ი. ვ. გოროშკინი** აცხადებს, რომ რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის სახელზე შემოვიდა განცხადება რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დეპუტატ **ა. მ. პუზანოვისა,** რომელიც ითხოვს გათავისუფლონ იგი რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტიდან, დეპუტატი გოროშკინი კითხულობს განცხადების ტექსტს.

„რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ი. ვ. გოროშკინს

გთხოვთ მოახსენოთ რუსეთის სფსრ უმაღლეს საბჭოს ჩემი თხოვნა, რომ გამათავისუფლოს რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტიდან.

ჩემი თხოვნა ამით არის გამოწვეული, რომ საჭიროა განმტკიცდეს რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს ხელმძღვანელობა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ამ უკანასკნელ ხანს განახორციელეს ღონისძიებანი რუსეთის ფედერაციის მეურნეობის მნიშვნელოვანი გაფართოებისა და განმტკიცებისათვის. რესპუბლიკას უშუალოდ დაექვემდებარა მრეწველობის დიდძალი საწარმოები და მშენებელი ორგანიზაციები, კულტურის დაწესებულებანი და სასწავლებლები.

უდიდესი მუშაობაა შესასრულებელი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისათვის.

იმ დიდი და რთული ამოცანების შესასრულებლად, რომლებიც საბჭოთა მთავრობამ და კომუნისტურმა პარტიამ დაუსახეს ჩვენს რესპუბლიკას, მიზანშეწონილია რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე იყოს სხვა ამხანაგი, რომელსაც აქვს სახელმწიფოებრივი და სამეურნეო მუშაობის მეტი გამოცდილება.

რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. პუზანოვი".

1956 წლის 23 იანვარი.

სიტყვა ეძლევა დეპუტატ **ფ. რ. კოზლოვს.** იგი ამბობს, რომ ამხ. პუზანოვის განცხადებაში მოყვანილი მოტივები სავსებით სწორად მიაჩნია, და უხუცესთა საბჭოს დავალებით წინადადება შეაქვს სესიამ მიიღოს დეპუტატ ა. მ. პუზანოვის განცხადება და გათავისუფლოს იგი რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს: მიღებულ იქნას ამხ. პუზანოვის განცხადება და განთავისუფლდეს იგი რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

დეპუტატ ი. ვ. კაპიტონოვს უხუცესთა საბჭოს სახელით შეაქვს წინადადება — რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნოს დეპუტატი მ. ა. იასნოვი.

რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭო ადგენს — დეპუტატი **მიხეილ ალექსის-ძე იასნოვი** დაინიშნოს რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ და განთავისუფლდეს რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან.

სესია გადადის დღის წესრიგის მეორე საკითხის განხილვაზე — რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცებაზე. სიტყვა მოხსენებისათვის ეძლევა რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანს დეპუტატ **ი. ნ. ზიმინს.** სესია ამტკიცებს ბრძანებულებებს.

კითხულობენ რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მ. ა. იასნოვის წარდგენებას, რომელშიც იგი თხოულობს, რომ დეპუტატი ა. მ. პუზანოვი დაინიშნოს რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ. სესიამ ერთხმად მიიღო ეს წარდგენება.

უმაღლესმა საბჭომ გამოიტანა დადგენილება, რომ რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად არჩეულ იქნას დეპუტატი **ნ. ი. ბობროვნიკოვი** და განთავისუფლდეს იგი რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

სესიამ რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარედ აირჩია დეპუტატი **ი. მ. სკაჩკოვი.**

დღის წესრიგის საკითხები ამოიწურა. სესია დახურულად ცხადდება. (საკდესი).

მოსკოვის საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა საზეიმო სხდომა, მიძღვნილი ინდოეთის რესპუბლიკის გამოცხადების მეექვსე წლისთავისადმი

დიდ ინდოელ ხალხთან ერთად საბჭოთა ადამიანები ფართოდ აღნიშნავენ ინდოეთის რესპუბლიკის გამოცხადების მეექვსე წლისთავს. 25 იანვარს, ინდოეთის ეროვნული დღესასწაულის — რესპუბლიკის დღის წინადღით, კავშირთა სახლის სვეტებიან დარბაზში გაიმართა მოსკოვის საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა საზეიმო სხდომა, რომელიც მოიწვიეს საკავშირო პროფსაბჭომ, უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოებამ, სსრ კავშირის კულტურის სამინისტრომ და სსრ კავშირის მწერალთა კავშირმა.

საზეიმო სხდომა გახსნა საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარემ ნ. მ. შვერნიკმა. შესრულებულ იქნა ინდოეთის რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

მოხსენება „საბჭოთა ხალხისა და ინდოელი ხალხის მეგობრობა და კულტურული თანამშრომლობა" გააკეთა სსრ კავშირის კულტურის მინისტრმა ნ. ა. მიხაილოვმა.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა ინდოეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა სსრ კავშირში კ. ჯ. შ. მენონმა.

სხდომის დასასრულს სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გენერალურმა მდივანმა ა. ა. სურკოვმა გამოაქვეყნა ტექსტი საზეიმო სხდომის მონაწილეთა მისასალმებელი წერილისა ქალაქ დელის მოქალაქეებისადმი. (საკდესი).

გაიხსნა საქართველოს კომპოზიტორთა მეორე ყრილობა

26 იანვარს თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაიხსნა საქართველოს კომპოზიტორთა მეორე ყრილობა.

ყრილობა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს საბჭოთა კომპოზიტორების კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ა. ბალანჩივაძემ.

ყრილობა შეუდგა მუშაობას იმ ნაწარმოებთა მოსმენით, რომელებიც საქართველოს კომპოზიტორებმა დაწერეს პირველი ყრილობის შემდეგ განვლილ პერიოდში.

საქართველოს სახელმწიფო სიმფონიურმა ორკესტრმა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის შ. აზმაიფარაშვილის ხელმძღვანელობით შეასრულა შ. მშველიძის № 3 სიმფონია. ამ ნაწარმოებში კომპოზიტორი ადიდებს სამგორის მშენებელთა თავდადებულ შრომას.

გულში ჩამწვდომად გაისმა რ. ლაღიძის სიმფონიური პოემა „სამშობლოსათვის". ამ ნაწარმოების იდეური ლეიტმოტივია პატრიოტიზმი და თავდადება სამშობლოს საყვარელ ოჯახისადმი.

შეასრულეს რ. ლაღიძის სიმფონიური სურათი „საჭიდაო", რომელსაც მსმენელები გულთბილად შეხვდნენ. ამ ნაწარმოებს ხალფუძვლად უდევს ხალხური მელოდია „საჭიდაო". სიმფონიური ორკესტრის საშუალებით ავტორი მკაფიოდ ხატავს ხალხური დღესასწაულის კოლორიტულ სურათს.

დასასრულ წარმატებით შეასრულეს ო. თაქთაქიშვილის კონცერტი ფორტეპიანოსა და სიმფონიური ორკესტრისათვის. ამ ნაწარმოებისათვის, რომელსაც მაღალი შეფასება მისცა მუსიკალურმა საზოგადოებრიობამ, ავტორს მინიჭებული აქვს სტალინური პრემია. ორკესტრს დირიჟორობდა ავტორი. კონცერტში სოლისტად გამოვიდა ცნობილი პიანისტი, რუსეთის სფსრ სახალხო არტისტი ლ. ობორინი.

საქართველოს კომპოზიტორთა ყრილობის მუშაობის დღეებში, სიმფონიური მუსიკის კონცერტებს გარდა, გაიმართება კამერული, საგუნდო და სასტრადო მუსიკის კონცერტები, უჩვენებენ ა. კერესელიძის ოპერა „ბერუჩას" და დ. თორაძის ბალეტ „გორდას".

27 იანვარს გაიმართება ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებთა მორიგი კონცერტი.

(საქდესი).

სსრ კავშირში ბ-ნ ვენსან ორიოლის ჩამოსვლის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა თავის პირად სტუმრად მიიწვია საფრანგეთის თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე, საფრანგეთის რესპუბლიკის ყოფილი პრეზიდენტი ბ-ნი ვენსან ორიოლი, რათა იგი ეწვიოს სსრ კავშირს და გაეცნოს საბჭოთა კავშირის ცხოვრებას.

ბ-ნ ვენსან ორიოლის მოსკოვში ჩამოსვლას მოელიან მიმდინარე წლის 28 თებერვალს.

საქართველოს კომუნისტური პარტიის XVII ყრილობა

კამათი საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო

ამხ. ვ. გ. ქერქაძის სიტყვა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სოფლის მეურნეობის მინისტრი

ამხანაგებო! საქართველოს რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაკებმა, როგორც ეს აღნიშნული იყო საანგარიშო მოხსენებაში, სერიოზული მუშაობა გასწიეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და მომდევნო პლენუმების ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესასრულებლად, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგის შემდგომი აღმავლობის უზრუნველსაყოფად. ისინი ახალი წარმატებებით ეგებებიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობას.

მიუხედავად ამისა, სოციალისტური სოფლის მეურნეობის აღმავლობის მისაღწევად ჯერ კიდევ ბევრი საკითხია გადასაჭრელი, ბევრი სამუშაოა შესასრულებელი, ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ არის ნაკლოვანებანი მოწინავე აგრონომიულ და ზოოვეტერინარულ ღონისძიებათა განხორციელებაში და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენების საქმეში.

როგორც ცნობილია, მანქანა-ტრაქტორთა სადგურები მთელი საკოლმეურნეო წყობილების ინდუსტრიულ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას წარმოადგენენ. მაგრამ საქართველოს რესპუბლიკის მთელი რიგი მტს-ების მუშაობას თუ ანალიზს გავუკეთებთ, დავრწმუნდებით, რომ საქმით ისინი ჯერ კიდევ მთლიანად ვერ ართმევენ თავს მათ წინაშე დასახული ამოცანებს, რაც იმის შედეგია, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, პარტიის ზოგიერთი რაიონული კომიტეტი და რაისაბჭოს აღმასკომი კონკრეტულად არ ხელმძღვანელობენ მტს-ების მუშაობას.

შეუწყნარებელია ისეთი მდგომარეობა, როცა ვანის, მაიაკოვსკის, აფენის, ბადიაურის და მთელ რიგ სხვა მტს-ებში, სადაც კარგად მოწყობილი ტიპური სარემონტო სახელოსნოები აქვთ, ტრაქტორების რემონტს დღემდე ძველი, ბრიგადული მეთოდით ახორციელებენ.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი რესპუბლიკის მტს-ებმა 1955 წლის სატრაქტორო სამუშაოთა გეგმა 106,7 პროცენტით შეასრულეს და 1954 წელთან შედარებით დამუშავებულია 120,0 ათას ჰექტარზე მეტი რბილ ხვნაზე გადაყვანით, რესპუბლიკის მთელ რიგ მტს-ებს სატრაქტორო სამუშაოთა გეგმები არ შეუსრულებიათ.

მტს-ების მიერ 1955 წლის საწარმოო გეგმების შეუსრულებლობა უნდა აიხსნას უწინარეს ყოვლისა აღნიშნული მტს-ების ხელმძღვანელთა მხრივ სახელმწიფო გეგმების შესრულების საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებით, მათდამი სოფლის მეურნეობის სამინისტროს, პარტიის რაიონული კომიტეტების და რაისაბჭოების აღმასკომების სუსტი ხელმძღვანელობითა და დახმარებით.

ზოგი მტს-ის დირექტორი საჭირო ზომებს არ იღებს ახალი მანქანების ასათვისებლად და წარმოებაში დასანერგავად. სამტრედიისა და აბაშის მტს-ების დირექტორებმა უარი განაცხადეს სიმინდის კომბაინების მიღებაზე იმ მოტივით, რომ თითქოს ამ მანქანების გამოყენება იმ კოლმეურნეობებში, რომლებსაც ისინი მომსახურებას უწევენ, ტექნიკურად შეუძლებელი იყოს.

იმის შედეგად, რომ მანქანების გამოყენების საქმეში ჩვენ მნიშვნელოვანი ხარვეზები გვაქვს, ჯერ კიდევ ძალიან დაბალია ტრაქტორების დატვირთვა. 1955 წელს 15-ძალიანი პირობითი ტრაქტორით გამომუშავებულია 360,8 ჰექტარი რბილ ხვნაზე გადაყვანით. უფრო მეტიც, დიღმის, გომარეთისა და მაიაკოვსკის მტს-ებში 15-ძალიანი ტრაქტორის დატვირთვა 224-247 ჰექტარს არ აღემატება.

არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს მტს-ებში მანქანა-ტრაქტორთა პარკის რემონტი. ამასთან ერთად ბევრგან დაბალია რემონტის ხარისხი. მიმდინარე წლის 10 იანვრისათვის გეგმით გათვალისწინებული 2.703 ტრაქტორის ნაცვლად შეკეთებულია 1.624 ტრაქტორი, ანუ წლიური გეგმის 60,1 პროცენტი, და 600 კომბაინიდან 177 კომბაინი, ანუ გეგმის 21,2 პროცენტი.

ტრაქტორებისა და კომბაინების რემონტი საქმის ცუდი ორგანიზაციის შედეგად ძალიან ჩამორჩენილია გორის, ავრალოს, დიღმის, იორის და ზოგიერთ სხვა მტს-ებში.

როგორც ცნობილია, ჩვენს რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობის ყველაზე ჩამორჩენილ დარგს მეცხოველეობა წარმოადგენდა. საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებისა და მისი პროდუქტიულობის გადიდების საქმეში, ისევე როგორც მემინდვრეობაში, ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა განვლილ სამეურნეო წელს ერთგვარ წარმატებებს მიაღწიეს. მთელი რიგი წლების მანძილზე რესპუბლიკაში 1955 წელს პირველად იქნა გადაჭარბებით შესრულებული წველადობის გეგმა. მიუხედავად ამისა, საკვები ბაზის განმტკიცების, პირუტყვის მოვლა-პატრონობისა და სულადობის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესებისათვის არასაკმაო ყურადღების შედეგად განვლილ სამეურნეო წელს მთელი რიგი რაიონების კოლმეურნეობებს არ შეუსრულებიათ წველადობის სახელმწიფო გეგმა.

ზოგიერთ რაიონში ახალი სამეურნეო წლის დასაწყისიდანვე შეანელეს ზრუნვა მეწველი პირუტყვის მოვლა-პატრონობისათვის, რის შედეგად 1955 წლის 1 ოქტომბრიდან მკვეთრად შემცირდა წველადობა. განსაკუთრებით აღსანიშნავია წველადობის შემცირება ახმეტის, ჭიათურის, ჩოხატაურის, ადიგენის, თიანეთის, ცხაკაიას და აფხაზეთის რაიონების კოლმეურნეობებში.

მინდა შევჩერდე სოფლის მეურნეობის სამინისტროს აპარატის მუშაობის ზოგიერთ საკითხზე. ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სამინისტროს აპარატის მუშაკების უშუალო, ცოცხალ კავშირს წარმოებასთან და კოლმეურნეობებისადმი პრაქტიკული დახმარების გაწევას. 1955 წელს ჩვენ საკმაოდ დიდი თანხა დავხარჯეთ აპარატის მუშაკების მივლინებაზე რაიონებში. მაგრამ, როგორც გამოირკვა, ამ საქმეში ვხვდებით ერთგვარ უთავბოლობას. არის შემთხვევები, როცა სამინისტროს ცალკეული სამმართველოს განყოფილებებიდან რამდენიმე სპეციალისტი ხშირად ერთსა და იმავე დროს იგზავნება ერთსა და იმავე რაიონში, მაშინ როდესაც მთელ რიგ რაიონებს სამინისტროს მხრივ არ ეწევა ხელმძღვანელობა და დახმარება.

ამხანაგებო! ამჟამად ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების მთელი ყურადღება უნდა მიექცეს სოფლის მეურნეობის წინაშე მდგომი გადაუდებელი ამოცანების გადაჭრას, უნდა შევაჯამოთ კოლმეურნეობებისა და მტს-ების 1955 წლის სამეურნეო საქმიანობის შედეგები. საჭიროა შევისწავლოთ და გამოვავლინოთ კოლმეურნეობების ჩამორჩენის მიზეზები, დაბალი მოსავლიანობის და მეცხოველეობის მცირე პროდუქტიულობისა და გასული წლის გეგმების შეუსრულებლობის მიზეზები. საჭიროა ყოველი ღონე ვიხმაროთ იმისათვის, რომ წელს არ დაეშვათ ჩამორჩენა.

ჩვენი უახლოესი ამოცანაა წარმატებით ჩავატაროთ საგაზაფხულო სამუშაოები. ამისათვის საჭიროა დაწესებულ ვადებში და სათანადო ხარისხით დავამთავროთ ტრაქტორების, კომბაინებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების რემონტი.

საჭიროა ამთავითვე გავშალოთ საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოები, განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ სათესლე მასალის მომზადების საქმეს და თესვა ვაწარმოოთ მხოლოდ კონდიციური თესლით. უნდა გავიტანოთ მინდერად მინერალური და ორგანული სასუქები იმ რაოდენობით და იმ ვადებში, რაც უზრუნველყოფს მოსავლიანობის გადიდებას.

ამხანაგებო! პირობას ვაძლევ ყრილობას, რომ ჩვენი რესპუბლიკის სოციალისტური სოფლის მეურნეობის მუშაკები და სპეციალისტების მრავალრიცხოვანი კოლექტივი ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ ღირსეულად შეასრულონ მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ მათთვის დაკისრებული საპატიო მოვალეობა.

ამხ. ვ. დ. კუპრაძის სიტყვა

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი

ამხანაგებო! ნება მიბოძეთ შევეხო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იმ სერიოზულ და სამართლიან კრიტიკას, რომელიც მოცემულია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში. ნაკლოვანებები ჩვენს მუშაობაში ბევრია. მაგრამ საანგარიშო პერიოდში, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მუდმივი ყურადღებისა და ზრუნვის მეოხებით, ჩვენმა უნივერსიტეტმა გარკვეულ წარმატებებს მიაღწია, განმტკიცდა და დაძლია მთელი რიგი სერიოზული ნაკლოვანებანი თავის მუშაობაში.

მაგრამ მე მინდა ყურადღება მივაპყრო უნივერსიტეტის საქმიანობაში ჯერ კიდევ არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებს.

სასწავლო მუშაობის დარგში ჩვენთან ჯერ კიდევ მწვავედ იგრძნობა, რომ სასწავლო გეგმები სრულყოფილი ვერ არის. მათი მრავალსაგნიანობა და გადატვირთვა ადუნებს სტუდენტთა შემოქმედებითს ინიციატივას.

მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი ნაკლია ის, რომ მასწავლებელთა ერთი, მართალია, მცირე ნაწილი ჩვეულებრივ მოხელეებად გადაიქცა და ახალგაზრდობის სწავლისა და აღზრდის საქმეს არ ახმარს მთელ გზნებას, მთელ გონებასა და გულს. ეს ადამიანები მთელი მონდომებით არ მუშაობენ. ასეთ მოვლენათა წინააღმდეგ საბრძოლველად ჩვენ ვრაზმავთ ჩვენი უნივერსიტეტის მთელ ძალებს.

ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში მოყვანილია ფაქტები და მოკვეთილია ანალიზი, რომელიც მოწმობს უნივერსიტეტში აღმზრდელობითი მუშაობის არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობას.

ლექციები, რომლებიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ ეხება იდეური აღზრდის პრობლემებს, საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტში წაკითხულია საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და დეკანატების ხაზით — 641, გარდა ამისა, ჩატარებულია კიდევ 62 თეორიული კონფერენცია. ეს სასარგებლო და საჭირო მუშაობა მომავალშიც უნდა განვაგრძოთ. მაგრამ ეს ყველაფერი არ არის და არც მთავარია. მთავარია უნივერსიტეტში ისეთი ვითარების შექმნა, ისეთი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება, რომ დისკიპლინის ბოროტი დამრღვევის ფეხქვეშ „ნიადაგი იწვოდეს“, რომ მან პირდაპირ არ იცოდეს, სად წავიდეს.

ახალგაზრდობა თავის კომკავშირულ და სხვა კრებებზე აქტიურად, მგზნებარედ და გულისწყრომით უნდა განიხილავდეს, ანალიზს უკეთებდეს, განსჯიდეს და შეფასებას აძლევდეს თავისი ამხანაგის უღირსი ქცევის თვითეულ ფაქტს.

უნივერსიტეტში პარტიულ-პოლიტიკური და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა, რომლისთვისაც უშუალოდ პასუხმგებელი არიან უნივერსიტეტის კომუნისტები, სუსტად არის დაყენებული. არა გვგონია საჭირო იყოს იმის ხაზგასმით აღნიშვნა, რომ ეს რამდენადმე იმის შედეგიც არის, რომ უმაღლესი სასწავლებლების ხაზით იდეოლოგიურ მუშაობას სუსტად ხელმძღვანელობენ საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტი და ცენტრალური კომიტეტი.

ახლა მე შევეხები უმაღლეს სასწავლებლებში მეცნიერული მუშაობის დაყენებას. როგორც ცნობილია, არსებული წესის თანახმად უმაღლესი სასწავლებლის პედაგოგიური პერსონალის თვითეული მუშაკი მოვალეა გარკვეული გრაფიკით და ეტაპობით — დამტკიცებული ფორმების მიხედვით ეწეოდეს მეცნიერულ მუშაობას, ამასთან ყოველწლიურად, ზოგჯერ კი ყოველ სემესტრშიც ადგენდეს ამ მუშაობის ანგარიშს. ამის შედეგად სსრ კავშირის უმაღლეს სასწავლებლებში ყოველ წელიწადს გროვდება მრავალი ათასი, და შესაძლოა ათეული ათასიც, ეგრეთწოდებული მეცნიერული ნაშრომი. მარტო ჩვენი უნივერსიტეტი ყოველწლიურად იძლევა საშუალოდ 400 მეცნიერულ ნაშრომს.

განა უდავო არ არის ის ფაქტი, რომ უმაღლესი სასწავლებლის საშუალო პედაგოგს, რომელიც ხშირად სავსებით კეთილსინდისიერად ართმევს თავს თავის მოვალეობას, არ შეუძლია მაინც და მაინც ყოველ წელიწადს მოგვცეს სერიოზული მეცნიერული მნიშვნელობის მქონე ნაშრომი.

უნდა შევცვალოთ უმაღლეს სასწავლებლებში მეცნიერული მუშაობის დაგეგმვის სისტემა და პრინციპი, გავაუქმოთ მეცნიერულ მუშაობაში უნივერსალობის მექანიკური პრინციპი, გავაფართოოთ ხელმძღვანელი მეცნიერული კადრების უფლება-მოვალეობა, აღმოვფხვრათ მოკლევადიანი ანგარიშების პრაქტიკა, დავგეგმოთ მნიშვნელოვანი პრობლემები დამუშავების ხანგრძლივი ვადებით და სხვ.

მინდა შევეხო კიდევ რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში მომზადებული მასწავლებელთა კადრების რაოდენობასა და მათი გამოყენების პერსპექტივას შორის არსებული მწვავე დისპროპორციის საკითხს.

ჩვენ უკვე მივაღწიეთ მასწავლებელთა კადრებით სკოლების ისეთ უზრუნველყოფას, როცა დღის წესრიგში დასმულია მათი მომზადების ტემპების შემცირების აუცილებლობის საკითხი. ეს დღის წესრიგში აყენებს იმ საკითხს, რომ მოხდეს უმაღლესი სასწავლებლების გამსხვილება ერთი გვარიობის ან მონათესავე უმაღლესი სასწავლებლების გაერთიანების გზით, რაც ხელს შეუწყობს მასწავლებელთა კადრების მომზადების ხარისხის შემდგომ გაუმჯობესებას.

საქართველოს სსრ უმაღლესი სკოლის მუშაკები, რომლებიც გარემოსილი არიან პარტიისა და მთავრობის ყოველდღიური ზრუნვით და მთავრობის ყოველდღიურ მუშაობას თავისი მითითებებითა და დახმარებით წარმართავს ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი, მთელ თავიანთ ძალებსა და უნარს მოახმარენ უმაღლესი განათლების შემდგომი აყვავების საქმეს.

განხილვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტისა „სკკპ XX ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956-1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ“

ამხ. ო. დ. გოცირიძის სიტყვა

საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი

ამხანაგებო! საქართველოს მშრომელებმა, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანმა, უდიდესი კმაყოფილებით მიიღეს მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივების პროექტი.

დირექტივების პროექტით გათვალისწინებულია საქართველოს სახალხო მეურნეობის ძირითადი დარგების შემდგომი ზრდა. კერძოდ, გაფართოვდება რესპუბლიკის ენერგეტიკული ბაზა, აშენდება გროზნო-თბილისის გაზსადენი. სოფლის მეურნეობის დარგში გადიდდება ისეთი კულტურების გამენება როგორიც არის ვაზი, ჩაი, თამბაქო, ციტრუსები. გაფართოვდება აზოტის სასუქების, ცემენტის, ბამბის ქსოვილების წარმოება, გადიდდება მარგანეცისა და ქვანახშირის ამოღება.

ამჟამად ამოცანა ის არის, რომ განვახორციელოთ დირექტივების პროექტით დასახული გეგმები. ამას უნდა დაექვემდებაროს მთელი ჩვენი პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა.

მეექვსე ხუთწლედში, ელექტროენერგიის გამომუშავების ზრდასთან ერთად, გათვალისწინებულია 1,4-ჯერ გადიდდეს ქვანახშირის ამოღება. ამ საკითხს რესპუბლიკისათვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს, რადგან შემდგომ განვითარდებიან რუსთავის მეტალურგიული ქარხანა და სხვა დიდმნიშვნელოვანი ობიექტები.

ქვანახშირზე მრეწველობის მოთხოვნილება რომ დაკმაყოფილდეს, მიზანშეწონილია დირექტივების პროექტში შეტანილ იქნას წინადადება, რომ დაჩქარდეს შახტების მშენებლობა შაორის ქვანახშირის აუზში, გაძლიერდეს საძიებო სამუშაოები ტყვარჩელის საბადოს მაღალხარისხოვანი კოქსვადი ქვანახშირების ამოღების გასაფართოებლად.

მეექვსე ხუთწლედში ახალი წარმატებები უნდა მოიპოვონ სოფლის მეურნეობის მშრომელებმა. 1960 წელს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის წარმოება 165 ათას ტონამდე უნდა ავიყვანოთ. ამისათვის, ამ კულტურის ფართობების გადიდებასთან ერთად, პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა ძირითადი ყურადღება უნდა მიაქციონ ჩაის ნარგავების მოსავლიანობის გადიდებას.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ციტრუსოვანი კულტურების განვითარებას. მათი გამენებისათვის შერჩეულ უნდა იქნას სათანადო მიკროუბნები, გაუმჯობესდეს მათი მოვლა, გამოყენილ იქნას ციტრუსების ახალი, უფრო ყინვაგამძლე ჯიშები.

ვფიქრობ, რომ საჭიროა დირექტივების პროექტში კიდევ უფრო გაძსხვილდეს ყურადღება იმის მიზანშეწონილობაზე, რომ, ჩვეულებრივ ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებთან ერთად, სოფლებში და რაიონულ ცენტრებში შეიქმნას სხვადასხვა განხრის სასოფლო-სამეურნეო საშუალო სკოლების ფართო ქსელი. ამ სკოლებს უნდა ჰქონდეთ დიდი სასკოლო ნაკვეთები, სადაც მოსწავლეები სწავლების პირველი წლიდანვე შეუდგებიან სასოფლო-სამეურნეო შრომას. ქალაქებში უნდა გადიდდეს ქსელი ტექნიკუმებისა და ტექნიკური სკოლებისა, რომლებშიც მოსწავლეები მიიღებენ არა მარტო ზოგად საშუალო განათლებას, არამედ აგრეთვე გარკვეულ სპეციალობას, კვალიფიკაციას.

დირექტივების პროექტში დიდი ყურადღება აქვს მიქცეული კულტურის — თეატრის, კინოს, ტელევიზიის, რადიოს განვითარებას. ეს გასაგებიც არის. საბჭოთა ადამიანების სულიერი სამყარო ყოველდღე სულ უფრო მდიდარი და ფართო ხდება.

ჩვენს რესპუბლიკაში კულტურის განვითარებაში მიღწეულია მნიშვნელოვანი წარმატებები. მაგრამ თეატრების მუშაობას ჯერ კიდევ საკმაოდ ბევრი ნაკლი ახასიათებს.

კულტურული მშენებლობის გაჭანება, რაც დირექტივების პროექტით არის გათვალისწინებული, მოითხოვს კულტურის, იდეოლოგიური მუშაობის საკითხებისადმი ყურადღების ყოველმხრივ გაძლიერებას. სამწუხაროდ, იდეოლოგიური მუშაობა ჩვენში ყოველთვის როდი წარმოებს სათანადო დონეზე. ცენტრალური კომიტეტის განყოფილებები, რომლებიც მოწოდებული არიან ღრმად და ყოველმხრივ მუშაობდნენ იდეოლოგიურ საკითხებზე, მორიდებით, გაუბედავად მოქმედებენ.

საჭიროა გადაჭრით ავამაღლოთ იდეოლოგიური მუშაობის დონე, უკეთ დავუკავშიროთ ეს მუშაობა ცხოვრებას, კომუნისტური მშენებლობის ამოცანებს.

საქართველოს მშრომელები, ჩვენი ქვეყნის ხალხთა ერთიან შეხმატკბილებულ ოჯახში, თავიანთი თავდადებული შრომით ღირსეულ წვლილს შეიტანენ მეექვსე ხუთწლედის დიადი ამოცანების განხორციელებაში და ამით ერთხელ კიდევ ცხადყოფენ თავიანთ ერთგულებას მარქს — ენგელს — ლენინ—სტალინის ყოვლისმძლე იდეებისადმი.

ამხ. ს. ს. ლორთქიფანიძის სიტყვა

საქართველოს სსრ საქალაქო და სასოფლო მშენებლობის მინისტრი

ამხანაგებო! მთელი ჩვენი ქვეყანა უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956-1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივების პროექტს. მეექვსე ხუთწლიანი გეგმის განხორციელება ხელს შეუწყობს ჩვენი სამშობლოს ეკონომიური ძლიერების შემდგომ განმტკიცებას, ხალხის კეთილდღეობის ამაღლებას, ახალი დიდი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივების პროექტში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი კაპიტალური მშენებლობის და სამშენებლო ინდუსტრიის საკითხებს.

ჩვენი სამინისტროს სამშენებლო ორგანიზაციებს სამართლიანად აკრიტიკებენ იმისათვის, რომ ისინი ცუდად იყენებენ სამშენებლო მექანიზმებსა და მანქანებს. მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ეს არის იმის შედეგი, რომ რესპუბლიკაში არ მოგვეპოვება სარემონტო ბაზა. აუცილებლად საჭიროა უახლოეს წლებში შეიქმნას ჩვენში დიდი სარემონტო-მექანიკური ქარხანა, სადაც თავმოყრილი იქნება ყველა სამშენებლო მანქანისა და მექანიზმის რემონტი.

როგორც ცნობილია, რესპუბლიკაში გაჩაღებულია ასაწყობი რკინაბეტონის ბევრი ქარხნისა და პოლიგონის მშენებლობა. მაგრამ დღემდე არ არის გადაჭრილი ამ საწარმოების ინერტული მასალებით უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხი. რესპუბლიკაში არ არის ხრეშისა და სილის ოდნავ კეთილმოწყობილი კარიერები, რაც თვითეულ სამშენებლო ორგანიზაციას აიძულებს საკუთარი ძალებით მოიპოვოს ეს მასალები. ვფიქრობ, რომ მშენებლობის უზრუნველყოფა ამ მასალებით უნდა დაეკისროს საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს.

ჩვენი სამინისტროს სამშენებლო საქმეთა გეგმის შედგენის დროს ხდება სახსრების დაქუცმაცება მრავალ ობიექტზე. მაგალითად, ქუთაისში საავადმყოფოს მშენებლობისათვის 1956 წელს გამოყოფილ იქნა 1.200 ათასი მანეთი, მაშინ როცა ამ ობიექტზე დარჩენილ შესასრულებელ სამუშაოთა მოცულობა 9.251 ათას მანეთს შეადგენს. ასეთი ასიგნებების დროს ამ საავადმყოფოს მშენებლობას 8 წელი მოუნდება.

ვფიქრობ, რომ სამინისტროს უნდა მიეცეს უფლება ობიექტების მშენებლობაზე ასიგნებათა მოცულობის გათვალისწინებით გადაანაწილოს წლიური ასიგნებანი მიზანშეწონილობისა და სამშენებლო ორგანიზაციის შესაძლებლობათა მიხედვით. ერთ-ერთ სერიოზულ ნაკლს წარმოადგენს პარალელურად არსებობა ბევრი წვრილი სამშენებლო ორგანიზაციისა, რომლებსაც უნარი არ შესწევთ ფართოდ დანერგონ მშენებლობის ინდუსტრიული მეთოდები.

საქართველოს სსრ საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტროს უნდა დაეკისროს ყველა საცხოვრებელი და სამოქალაქო შენობის აგება, გარდა ისეთი შენობებისა, რომლებსაც დიდი სამშენებლო ორგანიზაციები აშენებენ.

1957 წლიდან ყველა საცხოვრებელი სახლის, სკოლების, საავადმყოფოების, აბანოების, სამრეცხაოების, დასასვენებელი სახლების, სანატორიუმების, ტექნიკუმებისა და სახელოსნო სასწავლებლების მშენებლობა ჩვენს რესპუბლიკაში უნდა ხორციელდებოდეს მხოლოდ ტიპური პროექტების მიხედვით. ტიპური დაპროექტების დარგში სამუშაოთა ძირითადი მოცულობა აკისრიათ საქალაქო მშენებლობის დაპროექტების სახელმწიფო ინსტიტუტს და საქართველოს სსრ საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტროს საპროექტო კანტორა „საქსოფლპროექტს“. ამ ორგანიზაციებმა უზრუნველყვეს მთელი რიგი ტიპური პროექტების გამოშვება საბინაო-სამოქალაქო და სასოფლო-სამეურნეო მშენებლობისათვის. ტიპური დაპროექტების გეგმა მნიშვნელოვნად გაიზარდა 1956 წლისათვის. ჩვენი საპროექტო ორგანიზაციების ღირსებას საქმეა უზრუნველყონ ტიპური დაპროექტების დავალებათა უეჭველად შესრულება.

ნება მიბოძეთ საქართველოს სსრ საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტროს მშენებელთა კოლექტივის სახელით პირობა მივცე ყრილობას, რომ მშენებლები მთელ ძალღონეს იხმარენ, რათა შეასრულონ პარტიისა და მთავრობის მიერ მათ წინაშე დასახული ამოცანები.

ამხ. შ. ი. ჭანუყვაძის სიტყვა

საქართველოს კპ მახარაძის რაიკომის მდივანი

ამხანაგებო! საქართველოს კომპარტიის XVII ყრილობა მიმდინარეობს მძლავრი პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობის დღეებში — ჩვენი პარტიის XX ყრილობისათვის მზადების ისტორიულ დღეებში, იმ შესანიშნავ მომენტში, როცა საბჭოთა ხალხი უდიდესი აღფრთოვანებით ეცნობა და იწონებს სკკპ XX ყრილობის დირექტივების პროექტს მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

მთელ ქართველ ხალხთან ერთად მახარაძის რაიონის მშრომელები პარტიის XX ყრილობას ხვდებიან ახალი მიღწევებით სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში. ხელმძღვანელობდნენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების ისტორიული გადაწყვეტილებებით, მახარაძის რაიონის კომუნისტებმა, ყველა მშრომელმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის. მათ პირნათლად შეასრულეს მოძმე უკრაინელ მეგობრებთან 1955 წელს სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი.

რაიონის სამრეწველო საწარმოებმა მეხუთე ხუთწლიანი გეგმა შეასრულეს ვადამდე 105,8 პროცენტით და გეგმის გადამეტებით ათეულ მილიონობით მანეთის პროდუქცია გამოუშვეს.

მეხუთე ხუთწლედის უკანასკნელ — 1955 წელს რაიონში მოკრეფილ იქნა და სახელმწიფოს ჩაბარდა 24.785 ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი, გეგმა შესრულდა 110,1 პროცენტით. გეგმის გადამეტებით მოკრეფილ იქნა 2.276 ტონა ჩაის ფოთოლი.

ახალ ხუთწლედში ჩვენს რესპუბლიკაში ჩაის ფოთლის კრეფა 118 ათასი ტონიდან აყვანილ უნდა იქნას 165 ათას ტონამდე. რესპუბლიკის გეგმაში ხვედრითი წონის მიხედვით თუ ვიანგარიშებთ, მახარაძის რაიონზე 1960 წლისათვის მოდის 35.000 ტონამდე. ეს მკვეთრად და გადაუდებლად აყენებს საკითხს ჩაის ფოთლის საკრეფი მანქანის დაჩქარებით შექმნისა და სრულყოფის შესახებ.

ჩაის ფოთლის კრეფის სახელმწიფო გეგმის შესრულების საქმეში დიდი ხვედრითი წონა აქვს ჩვენი რაიონის საბჭოთა მეურნეობებს, რომლებმაც წელს სახელმწიფოს ხუთ მილიონ კილოგრამზე მეტი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი უნდა ჩააბარონ. მაგრამ საბჭოთა მეურნეობების მუშაობაში სერიოზულ ნაკლოვანებებს აქვს ადგილი. საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტრო ვალდებულია მეტი დახმარება აღმოუჩინოს საბჭოთა მეურნეობებს მუშათა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაში.

დირექტივების პროექტით გათვალისწინებულია სოფლის მეურნეობისათვის სპეციალისტთა კადრების მომზადების მნიშვნელოვანი ზრდა. მახარაძის რაიონი ჯერ კიდევ განიცდის საშუალო ტექნიკური კვალიფიკაციის კადრების ნაკლებობას. ამიტომ საჭიროა, რომ რაიონში არსებობდეს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი, რომელიც მოამზადებს საშუალო კვალიფიკაციის კადრებს რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის.

მახარაძის რაიონის კომუნისტები, მთელი მშრომელები, რომლებიც მჭიდროდ არიან დარაზმულნი მშობლიური კომუნისტური პარტიის გარშემო, არ დაკმაყოფილდებიან მიღწეული წარმატებებით, სრულად გამოიყენებენ საკოლმეურნეო წარმოების რეზერვებს, დაუღალავად იბრძოლებენ მეექვსე ხუთწლიანი გეგმით დასახული ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის და ამით თავიანთ ღირსეულ წვლილს შეიტანენ კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეში.

სიტყვები იბეჭდება შემოკლებული სტენოგრამას მიხედვით.

საქართველოს კომუნისტური პარტიის XVII ყრილობა

განხილვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტისა „სკკპ XX ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956-1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ“

ამხ. მ. კ. მაღრაძის სიტყვა

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე

ამხანაგებო! თბილისის მშრომელები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, მხურვალედ იწონებენ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივების პროექტს. დირექტივების პროექტი ასახავს ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიურ ზრუნვას ხალხის კეთილდღეობის განუხრელად ამაღლებისათვის, ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის.

დირექტივების პროექტით გათვალისწინებულია ზემო სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობის დამთავრება, რაც უზრუნველყოფს ქალაქის განაპირა უდაბური ტერიტორიის აყვავებულ ბაღებად და ნაყოფიერ მინდვრებად გადაქცევას, და გროზნო-თბილისის გზსადენის მშენებლობა.

მეექვსე ხუთწლედში ახალი ჰიდროელექტროსადგურების ამუშავება მნიშვნელოვნად გაადიდებს ელექტროენერგიის საერთო ბალანსს, ხოლო ამიერკავკასიის რესპუბლიკების ენერგოსისტემების გაერთიანება ელექტროენერგიის საიმედო რეზერვს შეუქმნის მათ.

გროზნო-თბილისის გზსადენის მშენებლობის დაწყება ქმნის მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების მნიშვნელოვნად ამაღლებისა და ქალაქის სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესების პერსპექტივებს. ქალაქის გაზიფიკაცია მნიშვნელოვნად შეამცირებს შეშის, ნავთის, მაზუთის, ქვანახშირის ხარჯვას და მნიშვნელოვან სახსრებს დაუზოგავს მშრომელებსა და სახელმწიფოს.

მეექვსე ხუთწლედში შემდგომ განვითარდება თბილისის საქალაქო მეურნეობა. ქალაქში გაწეული იქნება დიდი სამუშაოები საბინაო და კომუნალური მშენებლობის ხაზით, გაუმჯობესდება ელექტრომომარაგება და წყალმომარაგება, კანალიზაცია, ქუჩებისა და მოედნების კეთილმოწყობა, ქალაქისა და მისი გარეუბნების შემდგომი გამწვანება, გათვალისწინებულია გზების გაყვანა, ხიდებისა და სანაპირო ქუჩების აგება და რეკონსტრუქცია. მნიშვნელოვნად გაიზრდება სკოლებისა და ბაგების, სამედიცინო დაწესებულებების, სპორტული ნაგებობების, ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა ქსელი.

1956 წელს — მეექვსე ხუთწლედის პირველ წელს — კაპიტალური დაბანდებანი თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ხაზით 40 მილიონ მანეთს გადააჭარბებს. ქალაქი მიიღებს 7.800 კვადრატულ მეტრ ახალ საცხოვრებელ ფართობს. ნატახტარის წყაროების და თბილისის წყალსაცავის ბაზაზე ორი წყალსადენის საექსპლოატაციოდ გადაცემა მნიშვნელოვნად გაუმჯობესებს ქალაქის მომარაგებას წყლით. მოასფალტებულ იქნება და მოიკირწყლება დაახლოებით 400 ათასი კვადრატული მეტრი ქუჩა და ტროტუარი, საექსპლოატაციოდ გადაიცემა სამი აბანო; დაწყებულია აბანოს მშენებლობა მოლოტოვის რაიონში. დიდი სამუშაოებია გათვალისწინებული კანალიზაციის ქსელის და, განსაკუთრებით, ღვარსაშვები მეურნეობის განვითარებისათვის. დამთავრდება ორდარბაზიანი კინოთეატრის მშენებლობა ლენინის რაიონში, საექსპლოატაციოდ გადაეცემა კინოდარბაზი ქრონიკალური ფილმების საჩვენებლად ორჯონიკიძის რაიონში. გათვალისწინებულია სასკოლო შენობის აგება ორჯონიკიძის რაიონში და 41-ე სკოლის შენობის გაფართოება სამუშაოების დამთავრება კალინინის რაიონში, სამკურნალო დაწესებულებათა და ფიზკულტურულ ნაგებობათა გაფართოება. და, ბოლოს, წელს ქალაქში აიგება სატელევიზიო ცენტრი.

დაიწყო გზის მშენებლობა ვარაზისხევის გავლით; ეს გზა გმირთა მიედანს დაუკავშირებს უნივერსიტეტის ქუჩასთან.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივების პროექტი ახალი შრომითი გმირობისათვის აღაფრთოვანებს თბილისის მშრომელებს, ისევე როგორც მთელ საბჭოთა ხალხს. ფართოვდება სოციალისტური შეჯიბრება მეექვსე ხუთწლიანი გეგმის დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის. და უეჭველია, რომ მეექვსე ხუთწლედი ღირსეულად იქნება შესრულებული.

ამხ. ნ. გ. გომელაურის სიტყვა

ი. ბ. სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის დირექტორი

ამხანაგებო! სამუშაოთა დიად პროგრამას, რომელიც დასახულია მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივების პროექტით, ჩვენი ქარხნის მეტალურგები უდიდესი კმაყოფილებით შეხვდნენ.

ქარხნის კოლექტივმა 1955 წლის გეგმა შეასრულა საერთო პროდუქციის გამოშვების ხაზით 105 პროცენტით, სასაქონლო პროდუქციისა — 100,3 და შრომის ნაყოფიერებისა — 105,6 პროცენტით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში საუკეთესო შედეგებს მიაღწიეს მილნამზადისა და მილსაგლინავი საამქროების, აგრეთვე თბოელექტროცენტრალის კოლექტივებმა, რომლებმაც მნიშვნელოვნად გადააჭარბეს 1955 წლის საგეგმო დავალებებს. უკვე მეორე თვეა ქარხნის ყველა საამქრო კარგად ართმევს თავს საწარმოო პროგრამის შესრულებას.

გასულ წელს დაიწყო რუსთავისა და სტალინოს მეტალურგთა სოციალისტური შეჯიბრება და ამის საფუძველზე ორივე ქარხანამ მთელ რიგ წარმატებებს მიაღწია.

მაგრამ ჩვენ გვაქვს ნაკლოვანებანი, რომელთა აღმოუფხვრელად ვერ უზრუნველყოფთ ქარხნის შემდგომ განვითარებას.

1955 წელს ვერ შესრულდა თუჯის, ფოლადისა და ხარისხოვანი ნაგლინის წარმოების გეგმა.

დეტალურად იქნა შესწავლილი ჩამორჩენილ საამქროთა მუშაობა. შემუშავდა და ინერგება ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებანი, რომელთა მიზანია წარმოების მომზადების გაუმჯობესება, ტექნოლოგიური და შრომის დისციპლინის განმტკიცება.

1955 წლის ნოემბრის მეორე ნახევრიდან უკეთესად, უფრო გამართულად მუშაობენ და გადაჭარბებით ასრულებენ გეგმას საბრძმედე და მარტენის საამქროები.

მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივების პროექტში გათვალისწინებულია საქართველოს სს რესპუბლიკაში თუჯის გამოდნობის გადიდება 1,6-ჯერ და ნაგლინის წარმოებისა — 1,5-ჯერ.

განიხილავს რა დირექტივების პროექტს, ქარხნის კოლექტივი ეძებს ლითონის წარმოების შემდგომი ზრდის გზებს. ახალი ამოცანები ჩვენგან მოითხოვს ჟაღრესად გადამწყვეტ მოქმედებას ყველა უბანზე და პირველ რიგში მოწინავე ტექნიკის დანერგვის დარგში მუშობის გასაუმჯობესებლად. აქ ჩვენ დიდი პროგრამა გვაქვს დასახული. მაგრამ მისი განხორციელება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქტიურად დაგვეხმარებიან სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტრო და სსრ კავშირის მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის საწარმოთა მშენებლობის სამინისტრო, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ ქარხანა მოწყობილობით და მთელი რიგი ობიექტები — მშენებლობის თანამედროვე ტექნიკით. ყველა ამ ღონისძიებას განსაკუთრებული კონტროლი უნდა გაუწიოს პარტიულმა ორგანიზაციამ და უზრუნველყოს მათი შესრულება უახლოეს ხანში.

ქარხანაში შემუშავებულია და ინერგება საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დიდი პროგრამა.

ბევრი რამ გვაქვს დასახული გასაკეთებლად გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის გაუმჯობესების, წარმოების კულტურის ამაღლების დარგში.

დიდმნიშვნელოვან სახალხო-სამეურნეო ამოცანას წარმოადგენს ლითონის ნარჩენთა რაციონალურად გამოყენება ფართო მოხმარების საგნების წარმოებისათვის. ჩვენი რესპუბლიკისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ადგილზე ლითონის ისეთ ნაკეთობათა წარმოებას, როგორიც არის სახურავი რკინა, ჭანჭიკები, ლურსმანი, სჭვალები, კაფეული და სხვ. ამიტომ სავსებით მიზანშეწონილია ამიერკავკასიის მეტალურგიულ ქარხანაში მოეწყოს ფურცელსაგლინავი საამქროს ნარჩენებისაგან სახურავი რკინის და წვრილსორტული-სამავთულე საამქროს ნარჩენებისაგან ლითონის ნაკეთობათა წარმოება.

მხურვალედ იწონებს რა მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივების პროექტს, ჩვენი ქარხნის კოლექტივმა გადაწყვიტა ფართოდ გააჩაღოს სოციალისტური შეჯიბრება 1956 წლის — მეექვსე ხუთწლედის პირველი წლის — გეგმის ვადამდე შესრულებისათვის. რუსთავის მეტალურგები გაზრდიან თავიანთ წვლილს ჩვენი სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის ბრძოლის დიად საქმეში.

სურათზე: ახმეტის რაიონის სოფელ ოქროს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ზეხილის ბაღში ნიადაგის ბენა ტრაქტორით. ფოტო მ. თელიაშვილისა.

მზადდება საგაზაფხულო თესვისათვის

თესლის მომზადებას აჭიანურებენ

კარტოფილი თეთრი წყაროს რაიონის კოლმეურნეობებისათვის ერთ-ერთი წამყვანი კულტურაა. გასულ წელს კარტოფილის საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე რაიონში 28 ცენტნერს შეადგენდა. დაბალი იყო აგრეთვე სიმინდის, მზესუმზირას, ქერის, ლობიოს და სხვა საგაზაფხულო კულტურების მოსავლიანობა. ასურეთის მტს-ის ზონის კოლმეურნეობებმა თავიდანვე გაითვალისწინეს საგაზაფხულო კულტურების დაბალი მოსავლიანობის გამომწვევი მიზეზები და დროულად შეუდგნენ თესვისათვის მზადებას. ამ საქმეში დაწინაურდა სოფელ კოდის კოლმეურნეობა. იგი უზრუნველყოფილია კონდიციური თესლით, გაზაფხულზე დასათესად საჭირო მთელი ფართობი მოხნულია მზრალად.

თესვისათვის მზადების სამუშაოები კარგად მოაწყეს აგრეთვე ენაგეთის ჩკალოვის სახელობის, ჯორჯიაშვილისა და ბორბალოს კოლმეურნეობებმა. ასურეთის მტს-ის მექანიზატორებმა დიდი დახმარება გაუწიეს კოლმეურნეობებს, გადაჭარბებით შეასრულეს მზრალად ხვნის გეგმა და კარგად მოაწყეს სათესლე მასალის გაშშენდა. ამასთან ერთად სწრაფად მიმდინარეობს ტრაქტორებისა და მისაბმელი იარაღ-მანქანების რემონტი.

მაგრამ მთელ რიგ კოლმეურნეობებში თესვისათვის მზადებაში არის სერიოზული ნაკლოვანებანი.

მანგლისისა და თეთრი წყაროს მტს-ების ზონაში შარშან 7.273 ჰექტარი საგაზაფხულო კულტურები დაითესა, აქედან მზრალად მოხნულზე — 3.432 ჰექტარი. წელს შედარებით მეტს დათესავენ. მზრალად მოხნული კი მხოლოდ 1.100 ჰექტარს შეადგენს. ფაქტები მეტყველებენ, რომ ამ მტს-ების ზონის იმ კოლმეურნეობებმა, რომლებმაც სიმინდი და კარტოფილი მზრალად მოხნულზე დათესეს, კარგი მოსავალი მიიღეს. სოფელ დმანისის კოლმეურნეობას 100 ჰექტარზე ეთესა სიმინდი, აქედან 50 ჰექტარი — მზრალად მოხნულზე, საიდანაც საშუალოდ ჰექტარზე 35 ცენტნერი მოსავალი მიიღეს.

თეთრი წყაროს მტს-მა მზრალად მოხნა 234 ჰექტარი. მან ვერ შეასრულა დავალება. საშემოდგომოდ მოხნული ფართობიც მთლიანად ვერ დათესეს.

იმის გამო, რომ რაიონის კოლმეურნეობათა უმრავლესობამ ვერ უზრუნველყო კარტოფილის კარგი მოსავლის მიღება, რაიონს დიდი რაოდენობით აკლია კარტოფილის თესლი. სოფელ ჯიგრაშენის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში 140 ჰექტარზე უნდა დაირგოს კარტოფილი. სარგავი მასალა არ ყოფნით, შეძენაზე კი ჯერ არ უფიქრიათ. მინდვრად გასატანია 3.000 ტონა ნაკელი. კარგი ამინდების მიუხედავად, ნაკელის გატანა არ დაუწყიათ.

თესვისათვის სუსტად ემზადებიან აგრეთვე ალექსეევკის კუბიშევის სახელობის კოლმეურნეობაში. მართალია, კოლმეურნეობის გამგეობამ ოთხ იანვარს განიხილა საგაზაფხულო თესვისათვის მზადების საკითხი, დასახა ღონისძიებანი, მაგრამ 13 იანვრისათვის კვლავ აკლდათ 80 ტონა კარტოფილის თესლი, სრულიად არ ჰქონდათ ქერისა და ხორბლის თესლი. 18 ცენტნერი სიმინდის თესლი სათესლე კონდიციამდე არ არის აყვანილი. კოლმეურნეობის თავმჯდომარეს კ. ივანოვს ეს მდგომარეობა მაინცდამაინც არ აწუხებს.

ჭიანურდება სათესლე მასალის გაწმენდა-გასუფთავება. კოლმეურნეობებში სათესლედ გამოყოფილი 2.762 ცენტნერი საგაზაფხულო ქერისა და ხორბლის თესლი სრულ კონდიციამდე არ არის აყვანილი. ბევრ კოლმეურნეობას ქერისა და ხორბლის თესლი შესამოწმებლად თესლის საკონტროლო ლაბორატორიაში ჯერაც არ წარუდგენია. 1.408 ცენტნერი სიმინდის თესლიდან შემოწმებისას უკონდიციო აღმოჩნდა 639 ცენტნერი.

ცუდი მდგომარეობაა აგრეთვე მინერალური სასუქების გაზიდვის საქმეში. კოლმეურნეობებს საქართველოს სოფლმომარაგების მარნეულის ბაზიდან ჯერ არცერთი ცენტნერი მინერალური სასუქი არ გაუტანიათ. ასევე ჭიანურდება მინდვრად ნაკელის გაზიდვა.

თესვის დღეები ახლოვდება. თუ ახლავე არ გამოსწორდა აღნიშნული ნაკლოვანებანი, თეთრწყაროელები თესვას მოუმზადებელი შეხვდებიან.

რ. დავითური,
„კომუნისტის“ ხაკ. კორესპონდენტი.

ვოლფგანგ ამადეი მოცარტი

დაბადების 200 წლისთავი

საბჭოთა ხალხი მთელ პროგრესულ კაცობრიობასთან ერთად დიდი ზეიმით აღნიშნავს გენიალური ავსტრიელი კომპოზიტორის ვოლფგანგ ამადეი მოცარტის დაბადების 200 წლისთავს. მსოფლიო მუსიკალური ხელოვნების ამ უდიდესი წარმომადგენლის შემოქმედება თავისი იდეურ-მხატვრული მიზანდასახულობით გასცილდა როგორც მისი წარმომშობი ეპოქის, ისე ეროვნული ხელოვნების ფარგლებს და ზოგადსაკაცობრიო კულტურის საგანძურში დაიმკვიდრა ადგილი.

ვენის კლასიკური სკოლის უდიდესი წარმომადგენელი ვოლფგანგ ამადეი მოცარტი დაბადა 1756 წლის 27 იანვარს ზალცბურგში, გამოჩენილი მევიოლინისა და თავისი დროის შესანიშნავი პედაგოგის ლეოპოლდ მოცარტის ოჯახში. მამამ ადრე აუღო ალღო თავისი შვილის განსაკუთრებულ ნიჭს და დიდი დაკვირვებით წარმართა მომავალი მუსიკოსის იდეურ-მხატვრული აღზრდის პროცესი.

ოთხი წლის ვოლფგანგი უკვე კარგად უკრავდა კლავესინს, ხუთი წლისა თხზავდა საკუთარ ნაწარმოებებს, ხოლო თერთმეტი წლისამ შექმნა ოპერა.

ფენომენალური სმენისა და მეხსიერების მქონე პატარა მოცარტი ექვსი წლის ასაკში იხვეჭს მსოფლიო სახელს. ტრიუმფალური იყო პატარა მოცარტების — ვოლფგანგისა და მისი დის მარია ანას საგასტროლო მოგზაურობა ავსტრიის, გერმანიის, საფრანგეთის, ინგლისისა და იტალიის დედაქალაქებსა და სხვა კულტურულ ცენტრებში. განსაკუთრებით ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა „სოცარმა ბავშვმა“ იტალიაში. 1770 წელს მილანში მოცარტის დირიჟორობით დიდგა ამი ოპერა „მითრიდატ პონტელი“. ამავე წელს, სპეციალური გამოცდის შემდეგ, იგი ბოლონიის ფილარმონიული აკადემიის წევრად იქნა არჩეული.

ბავშვობის წლების ბრწყინვალე გამარჯვებების შემდეგ სრულიად სხვაგვარად წარიმართა მოცარტის სიცხოველისა და შემოქმედებითი სიმწიფის პერიოდი.

ბრწყინვალე ვირტუოზი გენიალურ კომპოზიტორად იქცა და მოწინავე ხელოვანსა და არისტოკრატულ საზოგადოებას შორის კონფლიქტის ნიშნებმაც იჩინა თავი. ზალცბურგის არქიეპისკოპოსის სამსახურში მყოფმა ახალგაზრდა მოცარტმა, ამ სასულიერო პირის უდიერი და შეურაცხმყოფელი მოპყრობით აღშფოთებულმა, კავშირი გაწყვიტა თავის დესპოტ „მეუფესთან“. მოცარტი პირველი მუსიკოსი იყო, რომელიც ასე თამამად აღუდგა ყოვლისშემძლე „მფარველის“ ძლიერებას და თავისუფალი ხელოვანის უფლებები დაიცვა.

ამ ფაქტში მთელი სიცხადით იჩინა თავი კომპოზიტორის პროგრესულმა მსოფლმხედველობამ. ამ პერიოდიდან მატერიალურ საარსებო წყაროს მოკლებულ მოცარტს დაძაბული ბრძოლა უხდება მუდმივ გაჭირვებასთან.



1781 წელს ოპერა „იდომენეის“ დადგმის, რომელიც კომპოზიტორის შემოქმედებითის სიმწიფეს მოწმობს, და 1782 წელს „სერალიდან გატაცების“ დადგმის შემდეგ მოცარტს თითქმის აღარ ჰქონია საოპერო ნაწარმოების დაწერის შემთხვევა, უშედეგოდ მთავრდებოდა თეატრიდან დაკვეთის აღების ყოველი ცდა. ასეთი იყო ვენის არისტოკრატიის გაბრუნებულ ინტერესებს უნიჭო მუსიკოსების მრავალრიცხოვანი ინტრიგების შედეგი. ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ გავლენიანი პირების შეუმდგომლობა დასჭირდა მსოფლიო საოპერო ხელოვნების ისეთი ბრწყინვალე ნიმუშის განსახიერებასაც კი, როგორიც არის მოცარტის „ფიგაროს ქორწინება“. ვენის არისტოკრატიის გემოვნებისათვის უცხო და საწინააღმდეგო ამ ოპერის დადგმს (1786 წელს) ვენის საოპერო თეატრის სცენაზე აღფრთოვანებით შეეგებნენ ქალაქის მოსახლეობის დემოკრატიული ფენები.

ასეთივე დიდი წარმატებით სარგებლობს „ფიგაროს ქორწინება“ პრაღაში და სპეციალურად პრაღის საოპერო თეატრისათვის დაწერილი ოპერა „დონ-ჟუანი“ (1787 წ.), რომლის დადგმამაც ვენაში მარცხი განიცადა. ვენის საოპერო თეატრის სცენაზე მარცხი განიცადა მოცარტის შესანიშნავმა ოპერამ „ჯადოსნურმა ფლეიტამაც“ (1791 წ.), სამფიციროდ მისმა განსახიერებამ ვენის საგარეუბნო თეატრის სცენაზე საყოველთაო აღტაცება გამოიწვია.

დაძაბულმა შემოქმედებითმა შრომამ და მატერიალურმა ხელმოკლეობამ ადრე შეარყიეს დიდი ადამიანის ჯანმრთელობა. იგი გარდაიცვალა 1791 წლის 5 დეკემბერს, ისე რომ ვერც კი მიაღწია 36 წლის ასაკს.

მოცარტის შემოქმედებითი მემკვიდრეობის (600-მდე ნაწარმოები) მრავალ ნიმუშში ნათელი განსწყობილება, უსაზღვრო ოპტიმიზმი და მზიური კოლორიტი ჭარბობს, თუმც ძალიან ისე ოშიათად გვხვდება შემაძრწუნებელი ძალით გამოხატული ტრაგიკული განწყობილებებიც. მხოლოდ მოცარტისათვის იყო შესაძლებელი ტრაგიკულისა და კომიკურის ისეთი სიღრმით გამოხატვა, როგორიც ოპერა „დონ-ჟუანშია“ მოცემული. ცხოვრების ჯანსაღი შეგრძნება და ნათელი ოცნება მომავალზე განსაკუთრებულ იდეურ მნიშვნელობას ანიჭებს მის რეალისტურ ხელოვნებას, რომელიც ხალხის სასიცოცხლო მისწრაფებებს ასახავს. მის მუსიკაში გამოხატულება ჰპოვა ღრმა რწმენამ კაცობრიობის ნათელი მომავლისადმი. თავის შემოქმედებაში (ისევე როგორც პირად ცხოვრებაში) მოცარტი, ილაშქრებს რა დესპოტიზმის წინააღმდეგ, ადამიანის პირადი ღირსების დამცველის, ადმავალი კლასის (მესამე წოდების) იდეოლოგის როლში გვევლინება.

მოცარტის შემოქმედება ყოვლისმომცველია ჟანრებისა და მუსიკალურ-სტილისტური კავშირის მხრივ, იგი განაზოგადებს სხვადასხვა ეროვნების და სტილისტური მიმდინარეობის კომპოზიტორთა მრავალსაუკუნოვან მიღწევებს. ამასთან ერთად მოცარტი უშუალოდ უმზადებს ნიადაგს ბეთჰოვენის გმირულ და შუბერტის რომანტიკულ სიმფონიზმს.

მოცარტი უდიდესი რეფორმატორია საოპერო ჟანრში, თუმცა სხვა კომპოზიტორთა (გლიუკი, ვაგნერი) მსგავსად მას თავისი შეხედულებების თეორიული დასაბუთება არ მოუცია. დიდმა მუსიკოსმა-დრამატურგმა პრაქტიკულად გადაჭრა საოპერო დრამატურგიის უმთავრესი პრობლემები.

მოცარტი პერსონაჟთა ფსიქოლოგიური დახასიათების უდიდესი ოსტატია, მისი ოპერების გმირები მათი ხასიათების მთელ მრავალფეროვნებაში წარმოგვიდგებიან. ნაწარმოების იდეა კონტრასტულ მხატვრულ სახეთა და სიტუაციათა დაპირისპირების გზით იხსნება. ეს საზეები კი ფართოდ განვითარებული, დასრულებული საოპერო ფორმების (არიები, ანსამბლები) გამოყენებით იქმნება. აქედან ცხადია, რომ მოცარტის მთავარი გამომსახველი კომპონენტი მელოდიაა. „მუსიკის არსი მელოდიაა“, — ამბობდა ეს უდიდესი მელოდისტი.

მოცარტის საოპერო შემოქმედებას თავისი ეპოქის მოწინავე სოციალური და ეთიკური იდეები ასაზრდოებს. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს „ფიგაროს ქორწინება“, რომელშიც მთელი სიდიადით იჩინეს თავი ხელოვან-დემოკრატის მისწრაფებებმა. საფრანგეთის ბურჟუაზიულ რევოლუციამდე სამი წლით ადრე ამ ოპერის დადგმა კომპოზიტორის დიდ პოლიტიკურ გამბედაობაზე მეტყველებს, მით უმეტეს, რომ ბომარშეს ანტიფეოდალური ტენდენციებით გამსჭვალული კომედიის დადგმა ავსტრიაში აკრძალული იყო.

მოცარტმა უდიდესი განძი შეიტანა სონატის, სიმფონიისა და კამერული ჟანრების განვითარებაში. დაემყარა რა ამ სფეროში თავისი უფროსი თანამედროვის ი. ჰაიდნის მიღწევებს, მოცარტმა შემდგომში თვითონ მოახდინა გავლენა მის შემოქმედებაზე.

მოცარტის სიმფონიური შემოქმედების (49 სიმფონია) მწვერვალი 1788 წელს დაწერილი სამი შესანიშნავი სიმფონია Es - dur, g - moll და c - dur („იუპიტერი“), რომლებშიც კომპოზიტორი საგრძნობლად ამაღლებს სიმფონიის იდეურ-სახოვან შინაარსს. მოცარტი გვევლინება თანამედროვე ინსტრუმენტული კონცერტის ტიპის შემქმნელად (დაწერილი აქვს 21 საფორტეპიანო და სხვა კონცერტები).

გენიალურმა კომპოზიტორმა თავისი შემოქმედებითი გზა მსოფლიო მუსიკალური ხელოვნების ერთ-ერთი უშესანიშნავესი ნაწარმოებით — „რეკვიემით“ დასრულა.

საბჭოთა მუსიკისმცოდნეობა განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს მოცარტის შემოქმედებითი მემკვიდრეობის შესწავლისა და მასთან დაკავშირებული თეორიული პრობლემების დამუშავებისადმი. იგი აკვლევს ამ სისხლხორცეულ კავშირს, რომელიც მსოფლიო მუსიკალური ხელოვნების ამ ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენლის შემოქმედების წარმოიშობი ეპოქის მოწინავე სოციალურ იდეებსა და ეროვნულ ნიადაგს შორის არსებობს.

მზია იაშვილი.

ფინეთის ხელისუფლებამ დაათვალიერეს პორკალა-უდის ტერიტორია

ჰელსინკი, 25 იანვარი. (საკუთარი). 1955 წლის 19 სექტემბრის იმ შეთანხმების შესაბამისად, რომლითაც საბჭოთა კავშირმა უარი თქვა სამხედრო-საზღვაო ბაზად პორკალა-უდის ტერიტორიის გამოყენების უფლებაზე და ამასთან იკისრა ამ ტერიტორიიდან გაიყვანოს საბჭოთა შეიარაღებული ძალები, გუშინ ფინეთის სახელმწიფოს გადაეცა პორკალა-უდის ტერიტორია და იქ არსებული ქონება.

დილის 10 საათისათვის პორკალა-უდის საზღვარზე მივიდნენ ფინეთის წარმომადგენლები: პრემიერ-მინისტრი უ. კეკონენი, საგარეო საქმეთა მინისტრი ი. ვიროლაინენი, თავდაცვის მინისტრი ე. სკუგი, შინაგან საქმეთა მინისტრი ვ. კიაკელა, იუსტიციის მინისტრი ვ. ჰენრიკსონი, საგარეო საქმეთა სამინისტროს სტატს-მდივანი რ. სეპალა, საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილების უფროსი რ. ენკელი, პორკალა-უდის დროებითი მმართველების კომიტეტის თავმჯდომარე გენერალ-მაიორი კ. ვაალა, ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს წარმომადგენელი ადმირალი ს. სუნდმანი, გენერალური შტაბის წარმომადგენელი გენერალ-მაიორი ე. როშერი და სხვები. მიეიდა აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი ფინეთში ვ. ზ. ლებედევი. მათ შეხვდა პორკალა-უდის სამხედრო-საზღვაო ბაზის სარდალი გენერალ-ლეიტენანტი ს. ი. კაბანოვი.

გენერალ-ლეიტენანტი ს. ი. კაბანოვი როგორც ტერიტორიის გადამცემი და გენერალ-მაიორი კ. ვაალა როგორც მისი მიმღები პირველ მანქანაში სხდებიან და ტერიტორიის სიღრმეში მიდიან. მათ მიჰყვებიან სხვა ავტომობილები. იწყება პორკალა-უდისა და იჯალის დროს საბჭოთა კავშირის მიერ იქ აშენებულ ნაგებობათა დათვალიერება. პირველი გაჩერებაა საბჭოთა ადამიანების მიერ ახლადგებულ აეროდრომზე. გენერალ-ლეიტენანტი ს. ი. კაბანოვი ფინეთის წარმომადგენლებს უხსნის, რომ აეროდრომი აგებულია იმ ადგილს, სადაც წინათ ჭაობი იყო. წყლის ამოსაშრობად და მიწის ზედაპირის გასამაგრებლად საჭირო გახდა სპეციალური მილების გაყვანა, ყოველ 40 ათასი კუბური მეტრი ქვის გამოყენება. აეროდრომს აქვს კაპონირები.

შემდეგ ავტომანქანების კოლონა ჩერდება მიწასქვეშა საწყობთან, რომელიც აშენებულია გრანიტის კლდეში. ეს არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაგებობა, რომელიც უსასყიდლოდ გადასცა ფინეთს საბჭოთა კავშირმა. საწყობის ტევადობაა 120 ვაგონი. მას აქვს კალორიფერული გათბობა, ელექტროგანათება.

ერთიმეორის 7 მიყოლებით ათვალიერებენ საბჭოთა კავშირის მიერ პორკალა-უდში აგებულ ობიექტებს. მიწისქვეშა დიზელის ელექტროსადგური, რომელიც საწყობშია აგებული, 2.500 კვადრატული მეტრი ფართობი უკავია.

ბოტკიკის რაიონი. აქ ზღვის ყურის ნაპირზე აგებულია მშვენიერი პირსი, სადაც მიდგომა შეუძლიათ საზღვაო გემებს. ტერიტორიაზე არსებული რკინიგზიდან აქ გამოყვანილია რკინიგზის შტო. როცა ჰელსინკში ყინული ჩაიხერგება, აქ შეუძლიათ თავისუფლად შემოვიდნენ გადმოსატვირთავად საზღვაო გემები.

ფინეთის წარმომადგენლებმა დაათვალიერეს საშუალო სკოლის შენობა, რომლის ახლოსაც აგებულია სახლები მასწავლებელთათვის; იყვნენ საავადმყოფოს ქალაქში, რომელიც შვიდი ქვიტკირის კორპუსისაგან შედგება, და სხვა ობიექტებზე, რომლებიც ფინეთის სახელმწიფოს სრულ საკუთრებაში გადადის.

ტერიტორიის დათვალიერების შემდეგ გენერალ-ლეიტენანტმა ს. ი. კაბანოვმა ფინეთის წარმომადგენლებისათვის დარბაზობა გამართა. დათვალიერების მონაწილენი მეგობრულ საუბარში ერთმანეთს უზიარებენ შთაბეჭდილებას. თავდაცვის მინისტრმა ე. სკუგმა აღნიშნა, რომ ფინეთისათვის პორკალა-უდის გადაცემა განმტკიცებს საბჭოთა კავშირისა და ფინეთის ხალხების მეგობრობას. მინისტრმა წარმოთქვა საბჭოთა არმიის სადღეგრძელო.

ფინეთის მხარის რკინიგზის ხელისუფალნი გაეცნენ რკინიგზას, რომელიც პორკალა-უდზე გადის, დათვალიერეს გზის სადგურები და სხვა ნაგებობანი.

ფინეთისათვის პორკალა-უდის ტერიტორიისა და იქ არსებული მთელი ქონების გადაცემის შესახებ ოქმს ხელს მოაწერენ 26 იანვარს.

ჰელსინკში ჩავიდა საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაცია

ჰელსინკი, 25 იანვარი. (საკუთარი). პორკალა-უდის ტერიტორიის ფინეთისათვის გადაცემასთან და ამ გადაცემის შესახებ დასკვნითი ოქმის ხელმოწერასთან დაკავშირებით ჰელსინკში ჩამოვიდა საბჭოთა მთავრობის დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში არიან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე მ. გ. პერვუხინი (დელეგაციის მეთაური), სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე ა. პ. ვოლკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ა. ა. გრომიკო, საბჭოთა კავშირის მარშალი ა. მ. ვასილევსკი. მთავრობის დელეგაციის შემადგენლობაში შედის აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი ფინეთში ვ. ზ. ლებედევი.

სეუტულის აეროდრომზე საბჭოთა მთავრობის დელეგაციას შეხვდნენ სეიმის თავმჯდომარე კ. ა. ფაგერჰოლმი, პრემიერ-მინისტრი უ. კეკონენი, საგარეო საქმეთა მინისტრი ი. ვიროლაინენი, თავდაცვის მინისტრი ე. სკუგი, შინაგან საქმეთა მინისტრი ვ. კიაკელა, სეიმის მეორე ვიცე-თავმჯდომარე ტ. კუიალა, საგარეო საქმეთა სამინისტროს სტატს-მდივანი რ. სეპალა, საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური განყოფილების უფროსი რ. ენკელი, საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების უფროსი ე. ვიალიკანგასი, ფინეთის შეიარაღებული ძალების სარდალი გენერალი კ. ჰეისკანენი, გენერალური შტაბის უფროსი გენერალ-მაიორი ტ. ვილიანენი, სამხედრო-საზღვაო ძალების სარდალი კონტრ-ადმირალი ო. კოვისტო, სამხედრო-საჰაერო ძალების სარდალი გენერალ-მაიორი რ. ირტოლი და ფინეთის არმიის სხვა გენერლები, „ფინეთ-საბჭოთა კავშირის“ საზოგადოების თავმჯდომარე ს. კ. კილპა, საზოგადოების გენერალური მდივანი ტ. კარვონენი და საზოგადოებრიობის სხვა წარმომადგენლები.

საბჭოთა მთავრობის დელეგაციას შეხვდნენ აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი ფინეთში ვ. ზ. ლებედევი, სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენელი ფინეთში ა. ი. სოსუნოვი, სსრ კავშირის სამხედრო ატაშე ფინეთში გენერალ-მაიორი ი. ვ. ვინოგრადოვი, საბჭოთა საელჩოს, სავაჭრო წარმომადგენლობის, სამხედრო ატაშეს აპარატის პასუხისმგებელი თანამშრომლები. დელეგაციას შეხვდნენ ჰელსინკში აკრედიტებული მთელ რიგ დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები. აეროდრომზე იყვნენ ფინელი და უცხოელი ჟურნალისტები.

აეროდრომი მორთული იყო სსრ კავშირისა და ფინეთის სახელმწიფო ალმებით.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ მ. გ. პერვუხინმა აეროდრომზე ფინეთის რადიოს მიკროფონთან გააკეთა შემდეგი განცხადება:

პატივცემულო ბატონო პრემიერ-მინისტრო,

პატივცემულო ბატონებო.

ჩვენ ჩამოვედით მეგობარი ფინეთის დედაქალაქში იმისათვის, რომ დავამთავროთ გასული წლის სექტემბერში მოსკოვში ფინეთისა და საბჭოთა კავშირის მთავრობებს შორის მიღწეული შეთანხმება იმის შესახებ, რომ სსრ კავშირი უარს ამბობს უფლებაზე გამოიყენოს პორკალა-უდის ტერიტორია სამხედრო-საზღვაო ბაზისათვის და გაჰყავს საბჭოთა შეიარაღებული ძალები ამ ტერიტორიიდან. ეს შეთანხმება შესაძლებელი გახდა იმის მეოხებით, რომ ფინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის დამყარდა მეგობრული ურთიერთობა, რომლის მტკიცე საფუძველია მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება, დადებული 1948 წლის 6 აპრილს, აგრეთვე საერთაშორისო დაძაბულობის ერთგვარი შენელების მეოხებით.

მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების აღნიშნულ ხელშეკრულების განგრძობა, აგრეთვე შეთანხმება ფინეთისათვის პორკალა-უდის ტერიტორიისა და იქ არსებული ქონების დადამდე და უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ ეჭვი არ არის, ხელს შეუწყობს ორივე სახელმწიფოს მეგობრული დაახლოების საქმეს და ფინეთისა და საბჭოთა კავშირის კეთილმეზობლური ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებას.

ნება მიბოძეთ სსრ კავშირის მთავრობისა და მთელი საბჭოთა ხალხის სახელით გულითადი სალამი გადავცე ფინეთის დედაქალაქის მცხოვრებლებს, მთელ ფინელ ხალხს, ფინეთის პრეზიდენტს ბ-ნ პაასიკივსა და ფინეთის მთავრობას ბ-ნ კეკონენის მეთაურობით. დაე შემდგომაც განვითარდეს და განმტკიცდეს ჩვენი ხალხების მეგობრობა.

საბჭოთა მთავრობის დეკლარაცია ფინეთში

ჰელსინკი, 25 იანვარი. (საკუთარი). ფინეთისათვის პორკალა-უდის ტერიტორიის გადაცემასთან და ამ გადაცემის შესახებ დასკვნითი ოქმის ხელმოწერასთან დაკავშირებით ჰელსინკში ჩამოსულმა საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაციამ: სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ მ. გ. პერვუხინმა (დელეგაციის ხელმძღვანელი), სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარემ ა. პ. ვოლკოვმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ა. ა. გრომიკომ, საბჭოთა კავშირის მარშალმა ა. მ. ვასილევსკიმ, აგრეთვე დელეგაციის შემადგენლობაში შემავალმა სსრ კავშირის ელჩმა ფინეთში ვ. ზ. ლებედევმა დღეს ოფიციალური ვიზიტი გაუკეთეს ფინეთის პრემიერ-მინისტრს უ. კეკონენს.

ამის შემდეგ საბჭოთა მთავრობის დელეგაცია თავის სასახლეში მიიღო რესპუბლიკის პრეზიდენტმა ი. კ. პაასიკივმ. დარბაზობას დაესწრო პრეზიდენტის კანცელარიის უფროსი ე. სულბერგი.

შემდეგ დელეგაციის წევრებმა დაათვალიერეს ჰელსინკში ამას წინათ აგებული სახლი „კაივტალო“. აქ საბჭოთა სტუმრები იყვნენ ეროვნული სააქციო ბანკის განყოფილებაში, საააქციო საზოგადოება „სახელმწიფო ლითონდამშუშავებელი საწარმოების“ მთავარ კანტორაში, საააქციო საზოგადოება „სოფელ ადგილების ცენტრალური სამშენებლო ბიუროს“ და საააქციო საზოგადოება „კუმელის“ კანტორებში და გეეცნენ საააქციო საზოგადოება „კულტა-კონტუს“ გამოფენის განყოფილებას.

საბჭოთა მთავრობის დელეგაციის წევრები დაესწრნენ სეიმის 1955 წლის სესიის დახურვას. სეიმში დელეგაციას შეხვდა სეიმის პირველი ვიცე-თავმჯდომარე ლ. ჰელიასი, რომელმაც სტუმრები მიაცილა სეიმის თავმჯდომარესთან კ. ა. ფაგერჰოლმთან. სეიმის თავმჯდომარე მიესალმა სტუმრებს და გამოთქვა სურვილი, რომ მათმა ვიზიტმა განამტკიცოს ორივე ქვეყნის მეგობრული ურთიერთობა. მისალმების პასუხად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ მ. გ. პერვუხინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ დელეგაციის ჩამოსვლა ამ მეგობრული ურთიერთობის დამამტკიცებელია. საბჭოთა დელეგაციის წევრებმა ხელი მოაწერეს სეიმის თავმჯდომარის სტუმრების წიგნში.

სეიმის სესიის დახურვის შემდეგ საბჭოთა სტუმრები დაესწრნენ ამ შემთხვევას გამო სეიმში გამართულ დარბაზობას, რომლის დროს ესაუბრნენ რესპუბლიკის პრეზიდენტს, სეიმის თავმჯდომარესა და მთავრობის წევრებს.

დღის მეორე ნახევარში საბჭოთა დელეგაციის წევრები კვლავ ეცნობოდნენ ჰელსინკს. ისინი იყვნენ ჰელსინკის გარეუბან პიტაალაამიაკში, სადაც გეეცნენ საააქციო საზოგადოება „სტრემბერგის“ საწარმოებს.

დელეგაციას ახლდნენ ფინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციული განყოფილების გამგე მ. ინგმანი და პოლკოვნიკი ა. ვიიტანენი.

ავსტრიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

ვენა, 25 იანვარი. (საკუთარი). გაზეთ „ესტერრაიხიშე ფოლკსშტიმეს“ ცნობით, 23 და 24 იანვარს მიმდინარეობდა ავსტრიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. მოხსენება პარტიის 1956 წლის ამოცანების შესახებ პარლამენტის მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით გააკეთა ავსტრიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ფრიდლ ფიურნბერგმა. პლენუმმა განიხილვის შემდეგ მოხსენება მიიღო პარტიის საქმიანობის პროგრამად. პლენუმმა მოიწონა აგრეთვე ტექსტი მოწოდებისა საარჩევნო ფონდის შექმნის შესახებ.

პრაღაში პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის სხდომაზე ჩავიდნენ სსრ კავშირის წარმომადგენლები

პრაღა, 25 იანვარი. (საკუთარი). ვარშავის ხელშეკრულების შესაბამისად დაარსებული პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად დღეს პრაღაში ჩამოვიდნენ საბჭოთა კავშირის წარმომადგენლები — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი ვ. მ. მოლოტოვი და სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი გ. კ. ჟუკოვი. ამავე დროს პრაღაში ჩამოვიდა ვარშავის ხელშეკრულების ხელმომწერ სახელმწიფოთა მიერ გამოყოფილი გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი მარშალი ი. ს. კონევი.

რუზნის აეროდრომზე სსრ კავშირის წარმომადგენლებს შეხვდნენ: ჩეხოსლოვაკიის პრემიერ-მინისტრი ვ. შიროკი, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის პირველი მდივანი ა. ნოვოტნი, ეროვნული კრების თავმჯდომარე ზ. ფირლინგერი, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები, პრემიერ-მინისტრის პირველი მოადგილე და ეროვნული თავდაცვის მინისტრი ა. ჩეპიჩკა, პრემიერ-მინისტრის პირველი მოადგილე ი. დოლანსკი, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები ი. გენდრიხი, ვ. პაშეკი, ბ. კელერი, პრემიერ-მინისტრის მოადგილეები ვ. კოპეცკი, ვ. შკოდა, კ. პოლიჩეკი, შინაგან საქმეთა მინისტრი რ. ბარაკი, საგარეო საქმეთა მინისტრი ვ. დავიდი, მინისტრები ი. პლოიგარი, ე. შლეხტა, ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ზ. ნეედლი, მინისტრები და სხვა ოფიციალური პირები.

ჩამოსულთ შეხვდნენ აგრეთვე სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ჩეხოსლოვაკიაში ი. ტ. გრიშინი, პრაღაში საბჭოთა კავშირის სელჩოს თანამშრომლები, მთელი რიგი ქვეყნების საელჩოთა მეთაურები, რომლებიც აკრედიტებული არიან პრაღაში, ჩეხოსლოვაკიისა და უცხოეთის პრესის წარმომადგენლები.

აეროდრომი მორთული იყო სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის სახელმწიფო ალმებით. შეხვედრისას ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული და შესრულებულ იქნა საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები.

ამხანაგები ვ. მ. მოლოტოვი, გ. კ. ჟუკოვი და ი. ს. კონევი ეწვივნენ ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტს ანტონინ ზაპოტოცკის

პრაღა, 25 იანვარი. (საკუთარი). დღეს ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ა. ზაპოტოცკიმ მიიღო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი ვ. მ. მოლოტოვი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი გ. კ. ჟუკოვი და ვარშავის ხელშეკრულების ხელმომწერი სახელმწიფოების მიერ გამოყოფილი გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი საბჭოთა კავშირის მარშალი ი. ს. კონევი, რომლებიც ჩამოვიდნენ პრაღაში მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის სხდომაზე.

დარბაზობას დაესწრნენ ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ვ. შიროკი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ა. ნოვოტნი, აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ვ. დავიდი. და სსრ კავშირის ელჩი ჩეხოსლოვაკიაში ი. ტ. გრიშინი.

დარბაზობამ გულთბილ მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

სსრ კავშირის ელჩმა ამერიკის შეერთებულ შტატებში ინახულა პრეზიდენტი ეიზენჰაუერი

ვაშინგტონი, 25 იანვარი. (საკუთარი). 25 იანვარს სსრ კავშირის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში გ. ნ. ზარუბინი თეთრ სახლში მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა, რომელსაც მან გადასცა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის პირადი წერილი.

ვაშინგტონის კორესპონდენტთა წრეებში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ნ. ა. ბულგანინის ახალი წერილი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტისადმი. ვაშინგტონის ღამის გაზეთები თვალსაჩინო ადგილზე ათავსებენ ეიზენჰაუერისათვის წერილის გადაცემასთან დაკავშირებულ ცნობებს.

„მას შემდეგ, რაც გ. ნ. ზარუბინი ეწვია ეიზენჰაუერს, თეთრმა სახლმა გამოაქვეყნა შემდეგი ოფიციალური განცხადება: „ექვსეულ თათბირის დროიდან პრეზიდენტსა და პრემიერ ბულგანინს განუწყვეტელი მიმოწერა აქვთ. საბჭოთა ელჩმა დღეს დილით გადასცა მეგობრული წერილი, რომელიც შეიცავს მთელ რიგ იდეებს. პრემიერი სთხოვს პრეზიდენტს შემდგომ შეისწავლოს ეს იდეები საყოველთაო მშვიდობისათვის ხელის შეწყობის მიზნით“.

საფრანგეთის ეროვნულ კრებაში

პარიზი, 25 იანვარი. (საკუთარი). დღეს ლეტროკერის თავმჯდომარეობით გაიმართა ეროვნული კრების პარტიული ჯგუფების თავმჯდომარეთა სხდომა. სხდომაზე გადაწყდა ეროვნული კრების ვიცე-თავმჯდომარეებისა და მდივნების პოსტების პარტიებს შორის განაწილების საკითხი.

ამ გადაწყვეტილების შესაბამისად ეროვნული კრების ვიცე-თავმჯდომარეთა პოსტები განაწილებულია ასე: 2 კომუნისტი (მათ შორის პირველი ვიცე-თავმჯდომარე), 1 „დამოუკიდებელი რესპუბლიკელი“, 1 სოციალისტი, 1 „სოციალური რესპუბლიკელი“, „წინააღმდეგობის დემოკრატიული და სოციალისტური კავშირის“ პარტიისა და ამ პარტიის მომხრე დეპუტატების 1 წარმომადგენელი. ეროვნული კრების ბიუროს მდივნებად დანიშნული არიან: 4 კომუნისტი, 2 სოციალისტი, 2 „დამოუკიდებელი რესპუბლიკელი“, „სახალხო-რესპუბლიკური მოძრაობის“ პარტიის 2 წევრი, 2 პუჟადისტი, 1 „სოციალური რესპუბლიკელი“ და „მეპარეტენე რესპუბლიკელთა გაერთიანების“ 1 წევრი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიაში

ნიუ-იორკი, 24 იანვარი. (საკუთარი). გუშინ გაიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის სხდომა.

ინგლისის წარმომადგენელმა დიქსონმა განაცხადა, რომ ახლა არსებითად კი არ უნდა განვიხილოთ განიარაღების პრობლემა, არამედ პროცედურულ დისკუსიას უნდა დავჯერდეთო. მან მოითხოვა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტმა უახლოეს ხანში განაახლოს მუშაობა, ისე რომ ქვეკომიტეტის მუშაობის თარიღი და ადგილი გადაწყვიტონ ქვეკომიტეტის წევრებმა: სსრ კავშირმა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ინგლისმა, საფრანგეთმა და კანადამ. მან აგრეთვე მოითხოვა, რომ მუშაობის ექვსი კვირის შემდეგ ქვეკომიტეტმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის წარუდგინოს მოხსენება გაწეული მუშაობის შესახებ.

ამ წინადადებას მხარი დაუჭირეს ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის, კანადის, ავსტრალიის, ბელგიის წარმომადგენლებმა და სხვებმა.

კომისიის სხდომაზე გამოვიდა საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი ა. ა. სობოლევი, რომელმაც განაცხადა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტმა მეტად დიდმნიშვნელოვანი მუშაობა შეასრულა, რათა შეეთანხმებინა და შეემუშავებინა ყველა მისი მონაწილისათვის მისაღები დებულებანი, რომლებიც უნდა შევიდეს განიარაღების შესახებ საერთაშორისო კონვენციის პროექტში. პირველი დადებითი ნაბიჯი ამ მიმართულებით იყო პოზიციების შეთანხმება ისეთ დიდმნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიც არის შეიარაღების შემცირება სტადიობით, შეიარაღებული ძალების დონეთა დაწესება ხუთი დიდი სახელმწიფოსათვის, ატომური იარაღის აკრძალვის ძალაში შესვლის დრო, მთელი რიგი დებულებანი შეიარაღების შემცირებისადმი საერთაშორისო კონტროლის დაწესების საკითხთა შესახებ და სხვ.

სობოლევმა აღნიშნა, თუ რა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ამ საკითხებზე შეთანხმების მიღწევაში საბჭოთა მთავრობის 1955 წლის 10 მაისისა და 21 ივლისის წინადადებებს.

სურს რა დაჩქარდეს განიარაღების შესახებ საერთაშორისო კონვენციის შემუშავება, თქვა შემდეგ სობოლევმა, საბჭოთა კავშირმა ანგარიში გაუწია დასავლეთის სახელმწიფოთა პოზიციებს და დათანხმდა ხუთი დიდი სახელმწიფოსათვის შეიარაღებული ძალების იმ დონეებზე, რომლებიც ინგლისმა, საფრანგეთმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა წარადგინეს. საბჭოთა კავშირი დათანხმდა დასავლეთის სახელმწიფოთა წინადადებაზე ატომური იარაღის აკრძალვის ძალაში შესვლის დროის შესახებ, დათანხმდა კვლავ იმისათვის, რომ დაეახლოებინა პოზიციები და წინ წაეწია განიარაღების შესახებ საერთაშორისო კონვენციის მომზადების საქმე.

რამდენადაც მხარეთა პოზიციები უმნიშვნელოვანეს საკითხებში საგრძნობლად დაახლოვდა, განაცხადა სობოლევმა, თითქოს ქვეკომიტეტს უნდა აღებეშდა ეს საერთო თანხმობა და განგრძო მუშაობა განიარაღების შესახებ საერთაშორისო კონვენციის სხვა საკითხებზე შეთანხმებულ გადაწყვეტილებათა გამოსანახავად. მაგრამ ქვეკომიტეტში, ხოლო შემდეგ გენერალური ასამბლეის X სესიაზეც ზოგიერთმა დელეგაციამ, უმთავრესად შეერთებული შტატების დელეგაციამ, გამამყღავნა სხვა ტენდენცია, სახელდობრ: შეეწყვეტათ, არსებითად, შეიარაღების შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვის საკითხის განხილვა და შეეცალათ იგი ტერიტორიების აეროფოტოგადაღების მოწყობის გეგმის განხილვით. იმ გარემოებამ, რომ დასავლეთის სახელმწიფოები დაშორდნენ ძირითადად შეთანხმებულ პოზიციებს, არსებითი დაბრკოლება შექმნა განიარაღების პროგრამის განხორციელების გზაზე. ურთიერთაეროფოტოგადაღების გეგმას, გასაგებია, საერთო არაფერი აქვს გამალებული შეიარაღების შეწყვეტასთან, პირიქით, ამ გეგმას შეუძლია კიდევ უფრო დიდი გამალებული შეიარაღება გამოიწვიოს.

საბჭოთა კავშირის დელეგაციას, ხაზგასმით აღნიშნა სობოლევმა, როგორც ქვეკომიტეტში, ისე გენერალური ასამბლეის სესიაზე, მიაჩნდა და ახლაც მიაჩნია, რომ ამჟამად მთავარი ამოცანაა შეწყდეს გამალებული შეიარაღება და აიკრძალოს ატომური და წყალბადის იარაღი.

საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ყურადღება მიაქცია ზოგიერთი დელეგაციის, და პირველ რიგში შეერთებული შტატების დელეგაციის ყოველად გაუმართლებელ ცდებს — თავი აარიდონ ჩვენი დროის გადაუდებელი საკითხის — განიარაღების განხორციელებისა და ატომური იარაღის აკრძალვის საკითხის განხილვასა და გადაჭრას.

საბჭოთა მთავრობამ, თქვა სობოლევმა, გაკეთა დასკვნა იმასთან დაკავშირებით, რომ სიძნელეები გამოვლინდა განიარაღების პროგრამის შესახებ შეთანხმების გზაზე: იგი არა თუ უარს არ ამბობს შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირებაზე, არამედ უკვე შეამცირა სსრ კავშირის შეიარაღებული ძალები 640 ათასი კაცით და შეამცირა სსრ კავშირის 1956 წლის სამხედრო ბიუჯეტი 8,5 პროცენტით. საბჭოთა მთავრობამ ამასთანავე წინადადებით მიმართა დასავლეთის სახელმწიფოებს ერთობლივად იკისრონ ვალდებულება პირველსა არ გამოიყენონ ატომური და წყალბადის იარაღი. ხომ არ ჰგონიათ დასავლეთის სახელმწიფოებს, რომ ახლანდელ პირობებში ასეთი ჯენტლმენური გალდებულება ვერ შეასრულებს დიდმნიშვნელოვან როლს ატომური ომის გაჩაღების თავიდან აცილებაში? — იკითხა სობოლევმა. მსოფლიოს საზოგადოებრიობას, თქვა მან, სურს ამ კითხვაზე პასუხი მოისმინოს დასავლეთის სახელმწიფოთა წარმომადგენლებისაგან. რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, იგი მზად არის იკისროს ასეთი ვალდებულება.

ჩვენ ვერ ვხედავთ რაიმე საფუძველს, განაგრძო სსრ კავშირის წარმომადგენელმა, რომ სხვადასხვაგვარ „ტექნიკური სიძნელეთა“ საბაბით შეწყდეს მეცადინეობა განიარაღებისა და ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ შეთანხმების მისაღწევად.

საბჭოთა კავშირი განიარაღებისა და ატომური იარაღის აკრძალვის მომხრე იყო და არის და ითვალისწინებს იმას, რომ უწინარეს ყოვლისა უნდა შეწყდეს გამალებული შეიარაღება და ამით შენელდეს ახალი მსოფლიო ომის წარმოშობის შესაძლებლობა. ეს, განაცხადა სობოლევმა, მიგვიჩინა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტის ძირითად ამოცანად, ქვეკომიტეტისა, რომელსაც უნდა გავუგრძელოთ მუშაობის მანდატი.

საბჭოთა დელეგაცია, თქვა მან შემდეგ, თანახმაა, რომ ქვეკომიტეტმა განაგრძოს მუშაობა, მაგრამ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ქვეკომიტეტს არავითარი უფლება არა აქვს ხაზი გადაუსვას იმ მუშაობას, რომელიც მან უკვე შეასრულა. ქვეკომიტეტი რეალურად უნდა მიუდგეს განიარაღების პრობლემას. სახელდობრ: უწინარეს ყოვლისა აღებეშდოს შეთანხმება შეიარაღებული ძალების დონეების შესახებ, ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვის და გონივრული და ახლანდელ პირობებში შესაძლებელი საერთაშორისო კონტროლის სისტემის დაწესების შესახებ. ასეთი შეთანხმების საფუძველზე შეიძლება გაცილებით უფრო ადვილად და მალე წავწიოთ წინ განიარაღების პროგრამის სხვა, ჯერ კიდევ შეუთანხმებელი საკითხების გადაჭრა. ამ ამოცანების განხორციელება სავსებით შესაძლებელია და მათს გადაწყვეტას მოელის მსოფლიოს ყველა ხალხი.

შეეხო რა ინგლისის წარმომადგენლის დიქსონის წინადადებას, რომ ქვეკომიტეტმა წარადგინოს მოხსენება მუშაობის ექვსი კვირის შემდეგ, სობოლევმა განაცხადა, რომ ვერ ხედავს იმის საკმაო საფუძვლებს, რომ ქვეკომიტეტის მუშაობა ასეთი ვადით შეაზღუდოს.

შემდეგ გამოვიდა ინგლისის წარმომადგენელი დიქსონი, რომელმაც განაცხადა, რომ მას განზრახული არა აქვს ქვეკომიტეტის მუშაობის ვადის შეზღუდვა და მხოლოდ ის სურს, რომ ქვეკომიტეტს თავისი მუშაობის კურსში ჰყავდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისია.

სსრ კავშირის წარმომადგენლის განცხადებასთან დაკავშირებით იმის შესახებ, რომ დასავლეთის სახელმწიფოები დაშორდნენ პოზიციებს, რომლებიც მათ წინათ ეკავთ განიარაღების საკითხში, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და კანადის წარმომადგენლებმა თავიანთ გამოსვლებში სცადეს საქმე ისე დაესახათ, თითქოს ტერიტორიის აეროფოტოგადაღების საკითხი „რეალური“ მიდგომა იყოს სახელმწიფოთა შორის ნდობის დამყარებისაკენ. მაგრამ მათ თავიანთი გამოსვლებით ფაქტიურად დაადასტურეს, რომ სურთ გაიყვანონ საჰაერო დაზვერვის გეგმა, ისე რომ არ მიიღონ გადაწყვეტილებანი შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ.

სხდომის დასასრულს გადაწყდა განახლდეს ქვეკომიტეტის მუშობა და დიპლომატიური არხებით შეათანხმონ მისი მუშაობის დრო და ადგილი. აგრეთვე გადაწყდა, რომ დაახლოებით ექვსი კვირის შემდეგ ქვეკომიტეტი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიას წარუდგენს 'საინფორმაციო მოხსენებას თავისი მუშაობის შესახებ. მაგრამ ასეთი მოხსენების წარდგენა ქვეკომიტეტის მუშაობის შეწყვეტის მომაწყვებელი არ იქნება.

ბათუმი. სტალინის ქუჩა.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

★

სსრ კავშირის XXIII საჭადრაკო ჩემპიონატი

ლენინგრადი, 26 იანვარი. (საკუთარი). დაიწყო ჩვენი ქვეყნის XXIII საჭადრაკო ჩემპიონატის მეორე ნახ